

მისია შესრულებულია - ერა დასრულდა

A5



აზრზე მომყვანი ქარიშხალი

A6



ფოთში ახალ თეატრს აშენებენ

A7


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 13 სექტემბერი, 2005 წელი. №204 (1064) | ფასი 50 თეთრი


## ამბები

### დამოუკიდებლობის 15 წლისთავს ცხინვალი ლუჟკოვის სტუმრობითა და ნარდის ტურნირით აღნიშნავს

ყველაზე საპატიო სტუმრად ცხინვალში მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს ელოდებიან.

A2

## ამბები

### კომპენსაცია - შეღავათების ნაცვლად

დღეს საქართველოს ვეტერანთა კავშირის წევრები საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავენ. ისინი საქართველოს მთავრობას ვეტერანებისთვის პენსიების განახევრების მცდელობაში სდებენ ბრალს.

A2

## ამბები

### გიორგი ხაინდრავა: „კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდებით მოგვარება საქართველოსთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება„

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა გუშინ მოსკოვიდან დაბრუნდა, სადაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვალერი ლოშინინს შეხვდა.

A2

## ამბები

### ათასწლეულის განვითარების მიზნები - რეალური თუ მიუღწევადი?

ექსპერტები პესიმისტურ პროგნოზებს აკეთებენ - 2015 წლამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 60 პროცენტი იქნება

A2

## ამინდი

| | 13/09 | 14/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | 29 |
| ბათუმი | 23 | 22 |
| სოხუმი | 22 | 25 |
| გორი | 23 | 23 |
| თელავი | 25 | 24 |
| ზუგდიდი | 23 | 26 |
| სამტრედია | 23 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8040 |
| ევრო | 2.2411 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3123 |
| რუბლი | 0.0639 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სპორტი | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| რეკლამა | A 6 |
| რეკლამა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# არდადეგები დამთავრდა, დიალოგი არ იწყება

*საპარლამენტო არდადეგები დასრულდა. დღეს საშემოდგომო სესიის პირველი სხდომა გაიმართება. საგაზაფხულო სესიის ბოლოს უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის მომხდარი მასობრივი ჩხუბის შემდეგ სიტუაცია არსებითად არ შეცვლილა. პოლიტიკური ოპონენტები კონსტრუქციულ დიალოგს დღემდე ვერ ახერხებენ.*

გიორგი ასანიშვილი

ორთვიანი საშვებულებო პაუზის დროს საპარლამენტო ოპოზიციამ რამდენიმე ძლიერი დარტყმა მიიღო, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით: დაუდგენელი პირები მანქანების წართმევით არ დაკმაყოფილდნენ და ფიზიკურად

გაგრძელება A3 გვერდზე



*უმრავლესობა ბიუროზე თავდაჯერებულად გამოიყურებოდა.*

# ბიუჯეტის ცვლილებების პროექტმა საკომიტეტო მოსმენა უხმაუროდ გაიარა

*საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წელს უკვე მესამედ იზრდება. ბიუჯეტის ცვლილების პროექტი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის 12 სექტემბრის შემაჯამებელ სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა წარადგინა. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 26 მილიონი ლარით ზრდასთან დაკავშირებით, პარლამენტის კომიტეტებს მნიშვნელოვანი შენიშვნები არ გამოუთქვამთ, ამიტომ საკომიტეტო მოსმენამ გუშინ ხმაურის გარეშე ჩაიარა. 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს პარლამენტი დღევანდელ პლენარულ სხდომაზე განიხილავს.*

დიანა ჩაჩუა

**"დამატებითი ხარჯების მიღება იმპორტირებული პროდუქციის დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული ზედმეტი შემოსავლით გახდა შესაძლებელი. დამატებით მობილიზებული თანხები ცენტრალური საარჩევნო კომისიაზე, ენერგეტიკის სამინისტროზე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროზე, თავდაცვისა და განათლების სფეროებზე და პრეზიდენტის რწმუნებულების აპარატებზე გადანაწილდება. 13,844 მილიონ ლარს მიიღებს სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდი, რადგან მიმდინარე წლის განმავლობაში პენსიონერთა რაოდენობა დაზუსტდა და მათი რიცხვი გაიზარდა,"** - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა გუშინ, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას.

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის თანახმად, 26 მილიონით გაზრდილი ბიუჯეტიდან თავდაცვის უწყებას 6,4 მილიონი ლარი, განათლებას - 1,7 მილიონი ლარი, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს - 2,6 მილიონი ლარი, ენერგეტიკის სფეროს კი - 4,1 მილიონი ლარი მოხმარდება. დაფინანსება გაეზრდება, ასევე, პარლამენტს - ნახევარი მილიონი ლარით და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას - 1,9 მილიონი ლარით.

დღევანდელი მდგომარეობით, ბიუჯეტის დაგეგმილი ხარჯების მხოლოდ 75 პროცენტია დაფინანსებული, აუთვისებელია ხარჯების 25 პროცენტი, რომელიც, ძირითადად, კაპიტალური ხარჯებისა და "სხვა საქონლისა და მომსახურების" მუხლებზე მოდის.

**"მშენებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ასეთი ტიპის ხარჯების გაწევა ბიუჯეტიდან სექტემბერსა და ოქტომბრის დასაწყისში მოხდება.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ბელფასტში პროტესტანტებსა და პოლიციას შორის შეტაკებები გრძელდება

*ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქი ბელფასტი ბრძოლის ველს დაემსგავსა - ორი ათასი პოლიციელი 700 რადიკალი-პროტესტანტის წინააღმდეგ; შედეგად, ათეულობით დაშავებული, მათ შორის - შემთხვევითი გამვლელები. ხელისუფლება არეულობის ინსპირატორებს ეძებს.*

ბელფასტში შაბათს დაწყებული არეულობის შედეგად 32 პოლიციის ოფიცერი, ათობით აქციის მონაწილე და რამდენიმე შემთხვევითი გამვლელია დაშავებული. 10 სექტემბერს არეულობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ხელისუფლების წარმომადგენლები ბელფასტელი პროტესტანტების, ე.წ. ორანჟისტების, ტრადიციულ მსვლელობაში ჩაერივნენ. საქმე ისაა, რომ, გასული წლების მსგავსად, დემონსტრანტები ქალაქის კათოლიკურ უბნებში გეგმავდნენ გავლას.

გაგრძელება A5 გვერდზე



*ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობა შეტაკებების ინიციატორობაში ორგანიზაცია "ორანჟისტების ორდენს" ადანაშაულებს.*

# ხალხში ჩადებული ინვესტიციის ეკონომიკური მნიშვნელობა

## ამერიკის შეერთებული შტატების ათასწლეულის გამოწვევა

ჯონ ტეფტი
*აშშ-ს ელჩი საქართველოში*

12 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მთავრობებს შორის დაიდება ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც აშშ-ს "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის" მეშვეობით 295 მილიონი დოლარი, დახმარების სახით, გადაეცემა საქართველოს. ეს ისტორიული მნიშვნელობის ხელმოწერა შედგება ნიუ-იორკის სასტუმროში "ვალდორფ-ასტორია" და მას დაესწრებიან საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი.

"ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა" წარმოადგენს საქართველოსათვის განკუთვნილი აშშ-ს სახელმწიფო დახმარების ახალ წყაროს და დაემატება იმ დიდი მოცულობის პროგრამებს, რომლებიც უკვე ხორციელდება აშშ-ს თავდაცვის, სახელმწიფო, იუსტიციის, ვაჭრობისა და სახაზინო დეპარტამენტების, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და მშვიდობის კორპუსის მიერ.

"ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა" დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ თვითონ ქვეყანამ აიღოს პასუხისმგებლობა და ხალხმა განსაზღვროს ამ პროგრამის პრიორიტეტები. საქართველოში ამ პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მცირე და საშუალო საწარმოების, განსაკუთრებით სასოფლო სამეურნეო სფეროში, სწრაფი განვითარება, რეგიონებში სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური განვითარების მიზნით. "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია" დააფინანსებს სამცხე-ჯავახეთის გზის რეკონსტრუქციის სამუშაოებს, ჩრდილოეთიდან სამხრეთით გამავალი სასიცოცხლო მნიშვნელობის გაზსადენისა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და ხელს შეუწყობს ინვესტიციების, გრანტებისა და ტექნიკური დახმარების მოზიდვას სოფლის მეურნეობისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვალერი გელაშვილი პოლიტიკური ბრძოლისთვის სრულ მზადყოფნაშია

*თითქმის, ორთვიანი მკურნალობის შემდეგ დეპუტატი ვალერი გელაშვილი ვილნიუსიდან საქართველოში დაბრუნდა და რესპუბლიკელ დავით უსუფაშვილთან ერთად "ქორთიარდ მარიოტში" პრესკონფერენციაც გამართა, რომელსაც ესწრებოდა ლიტვაში ავსტრალიის კონსული სალვატორე მეჩინო. სწორედ მან უზრუნველყო გელაშვილის ლიტვაში გადაყვანის ოპერატიულობა.*

შეგახსენებთ - ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასხმა 14 ივლისს განხორციელდა. რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა გელაშვილი ახლობლებთან ერთად საკუთარი ავტომობილიდან იძულებით გადაიყვანა და მას ცეცხლსასროლი იარაღის კონდახით თავის არეში მრავლობითი დაზიანება მიაყენეს. ამ ინციდენტის შემდეგ გელაშვილი ჯერ თბილისის საავადმყოფოში მოათავსეს, მეორე დღეს კი მან საქართველო დატოვა და მკურნალობა ვილნიუსში გააგრძელა.

ოფიციალური ვერსიით, გელაშვილზე თავდასხმის ფაქტს ყაჩაღობის კვალიფიკაცია მიეცა, რასაც თავად დაზარალებული და მისი თანაპარტიელები კატეგორიულად არ ეთანხმებიან და ინციდენტს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებენ. თავად დეპუტატმა კი თბილისის აეროპორტში ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ მასზე მომხდარ თავდასხმაში "სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ".

როგორც პრესკონფერენციაზე საქართველოს "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენლებმა აღნიშნეს, პარლამენტარ ვალერი გელაშვილზე თავდასხმის ერთ-ერთი მიზეზი იყო მისი ოპოზიციური პოლიტიკური არჩევანი და ბიზნესმენთა წინააღმდეგ განხორციელებული რევოლუციურ-სახელმწიფო რეკეტისადმი დაუმორჩილებლობა. თუმცა, მათი განცხადებით, თავდასხმის ორგანიზატორთა მიზნები მიუღწეველი დარჩა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# იუსტიციის სამინისტრო ეპიდემიის საფრთხის არსებობას გამორიცხავს

უკანასკნელ პერიოდში გახშირებულ ცნობებს იმის შესახებ, თითქოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სამედიცინო მომსახურეობის კუთხით, მდგომარეობა გაუარესდა და სისტემაში ე.წ. "მფრინავი მენინგიტის" ეპიდემიის საფრთხე არსებობს, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკა ტყეშელაშვილი კატეგორიულად უარყოფს. **"ამ ანგაჟირებულ საკითხებს კვალიფიცირებული და ობიექტური პასუხი რომ გაეცეს, ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ საზოგადოებაში გაჩენილ შეკითხვებს კომპეტენტურმა პირებმა უპასუხონ",** - განაცხადა გუშინ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე ეკა ტყეშელაშვილმა.

ეკა ტყეშელაშვილის განმარტებით, ეპიდემიის რეალური საფრთხის შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტრო აუცილებლად გაახმაურებდა ამ ფაქტს და დასახმარებლად სხვადასხვა ორგანიზაციას მიმართავდა.

როგორც ცნობილია, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების საბაბი ერთი პატიმრის - კახაბერ შათირიშვილის გარდაცვალება და მეორე განსასჯელის ნუგზარ ქსოვრელის მძიმე ავადმყოფობა გახდა. იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ცნობით, გუშინ ღამეს მძიმედ ავადმყოფი პატიმარი ნუგზარ ქსოვრელი ციხის საავადმყოფოდან შესაბამისი მკურნალობისათვის ქალაქის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. თუმცა, მას მენინგიტის სიმპტომები არ აღენიშნება. შესაბამისად, რამოდენიმე დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ცნობები პატიმართა შორის ამ დაავადების გავრცელების საშიშროებაზე სიმართლეს არ შეეფერება. მათივე ინფორმაციით, ქსოვრელს მკურნალობა ეგრეთ წოდებულ აღმავალ ინფექციაზე - პოლი მიელო რადიკულო ნევრიტზე დაენიშნა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# სამედიცინო უნივერსიტეტი 16 სექტემბერს ბოლონიაში უნივერსიტეტთა დიდ ქარტიას უერთდება

მსოფლიოს უძველეს უნივერსიტეტში, ბოლონიაში, 1988 წელს 382-მა ევროპულმა უნივერსიტეტმა უნივერსიტეტთა დიდი ქარტია მიიღო. ეს არის საპროგრამო დოკუმენტი, რომელიც ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის შექმნას ისახავს მიზნად, აღიარებულ ერთიან საერთაშორისო სტანდარტზე, ერთიან არსებით მოთხოვნებზე დაყრდნობით. 2005 წლის მაისში ნორვეგიის ქალაქ ბერგენში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ ხელმოწერით დაადასტურა საქართველოს მონაწილეობა ბოლონიის პროცესში.

მიმდინარე წლის 16 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი ალექსანდრე თელია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მიწვეულ 19 რექტორთან ერთად, ოფიციალურ ცერემონიაზე ბოლონიის უნივერსიტეტში, აულა მაგნა სანტა ლუჩიაში, ხელმოწერით დაადასტურებს ქართული უმაღლესი სკოლის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინსტიტუციურ მონაწილეობას აღნიშნულ პროცესში. 1988 წლიდან დღემდე მსოფლიოს 502 უნივერსიტეტი ოფიციალურად შეუერთდა უნივერსიტეტთა დიდ ქარტიას. მსოფლიოს აღიარებულ უნივერსიტეტთა შორის წარმოჩინება არა მხოლოდ დიდი პატივია, არამედ უზარმაზარი პასუხისმგებლობაცაა თსსუ-ს პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. მიზანი გარკვეულია - ჭეშმარიტად კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების მაღალი ხარისხი, სასწავლო პროგრამების თავსებადობა საერთაშორისო ანალოგებთან.

იმავდროულად, ბოლონიის უნივერსიტეტში ტარდება საერთაშორისო საგანმანათლებლო კონფერენცია " უნივერსიტეტის ავტონომია სამეცნიერო კვლევებსა და სწავლებას შორის ინსტიტუციურ დაბალანსებაში". კონფერენციაზე განიხილება უნივერსიტეტებში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნების ინტეგრაციის, ცვლილებებისა და დაგეგმვის სტრატეგიული საკითხები, ზოგადად უნივერსიტეტების როლი საზოგადოებაში და მათი ავტონომიურობის ძირითადი პრინციპები. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია თსსუ-სთვის ურთიერთხელსაყრელი პარტნიორული თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა იტალიისა და სხვა ქვეყნების უმაღლესი სკოლების ხელმძღვანელებთან.

*თსსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის საინფორმაციო სამსახური*

# გიორგი ბარამიძის ვიზიტი პოლონეთში

7-13 სექტემბერს, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე, სამუშაო ვიზიტით პოლონეთში იმყოფებოდა. 7-დან 10 სექტემბრამდე სახელმწიფო მინისტრი კრინიცაში გამართულ მეთხუთმეტე ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობდა. აღნიშნული ფორუმი, ძირითადად, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის წამყვან პოლიტიკოსებს, სახელმწიფო მოხელეებს, დამოუკიდებელ ექსპერტებსა და მეცნიერებს მასპინძლობს. ფორუმი პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, მოძრაობა სოლიდარობის ლიდერმა ლეხ ვალენსამ და პოლინეთის პრემიერ-მინისტრმა მარეკ ბელკამ გახსნეს.

7 სექტემბერს გიორგი ბარამიძე ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხებისადმი მიძღვნილ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა, სადაც საქარათველოში მიმდინარე რეფორმებზე, მიღწეულ წარმატებებსა და საქართველოს ევროპული და ევროატლანიკური ინტეგრაციის პერსპექტივებზე ისაუბრა.

8 სექტემბერს, სახელმწიფო მინისტრმა მოხსენება გააკეთა საქართველოში საინვესტიციო გარემოსა და პოტენციალის შესახებ. გიორგი ბარამიძემ პასუხი გასცა ეკონომიკური რეფორმებსა და ინვესტიციებთან დაკავშირებულ მთელ რიგ შეკითხვებს.

გამოსვლების პარალელურად, სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრები გამართა ბიზნესისა და პრესის წარმომადგენლებთან და პოლონეთის ოფიციალურ პირებთან.

# გიორგი ხაინდრავა: „კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდებით მოგვარება საქართველოსთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება„

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა გუშინ მოსკოვიდან დაბრუნდა, სადაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვალერი ლოშინინს შეხვდა. რუსეთის როლი საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში - ეს გახლდათ ხაინდრავასა და ლოშინინის საუბრის მთავარი თემა.

მინისტრმა განაცხადა, რომ სხვა საკითხებთან ერთად, რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენელთან მან იური ლუჟკოვის ცხინვალში დაგეგმილი ვიზიტის შესახებაც ისაუბრა. როგორც ცნობილია, მოსკოვის მერი ცხინვალში "სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის" 15 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დასასწრებად ჩავა. **"თუ იმ ნაბიჯებს გავიხსენებთ, რაც ლუჟკოვმა საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში გადადგა, ამ კაცისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მისგან არაფერი უნდა გაგვიკვირდეს. მისი პოლიტიკური კარიერა დასასრულს უახლოვდება და, ალბათ, ის უკვე თავის კერძო ინტერესებზე ფიქრობს,"** - აღნიშნა ხაინდრავამ.

მანამდე კი, მოსკოვში 10 სექტემბერს საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტისთან" ინტერვიუში გოგა ხაინდრავამ განაცხადა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის შეხვედრა, სავარაუდოდ, სექტემბერის ბოლოს გაიმართება. ხაინდრავას თქმით, იგი მოსკოვში გამგზავრებამდე 9 სექტემბერს დე ფაქტო პრეზიდენტს ედუარდ კოკოითს ამ საკითხზე ესაუბრა და, "პრაქტიკულად, საკითხი პრემიერთან შეხვედრის შესახებ შეთანხმებულად შეიძლება ჩაითვალოს". სახელმწიფო მინისტრი არ გამორიცხავს, რომ ზურაბ ნოღაიდელის და ედუარდ კოკოითის შეხვედრა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) სხდომამდე გაიმართოს, რომელიც 20 სექტემბერს ვლადიკავკაზშია დაგეგმილი.

**"არსებობს უამრავი საკითხი, რომელიც განხილვას საჭიროებს, არსებობს კონკრეტული შეთანხმებები, რომლის შესრულებაც არის საჭირო, არსებობს შეშფოთება რეგიონში, რომელიც უნდა გამოსწორდეს... შეხვედრების გარეშე პროცესის განვითარება შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ უნდა შევხვდეთ და ერთად ვიმუშაოთ,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა. მისი თქმით, ქართულ მხარეს აღელვებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონებში არსებული ვითარება. **"ღიად შეიმჩნევა მილიტარიზაცია კონფლიქტის ზონებში. და ეს მაშინ, როცა ყველა ხელმოწერილი დოკუმენტი მხარეებს დემილიტარიზაციას ავალდებულებს,"** - განაცხადა ხაინდრავამ. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ქართული მხარე სამხრეთ ოსეთში არ აპირებს კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარებას. **"ეს იქნება კატასტროფის ტოლფასი საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, რომელსაც კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება სჭირდება,"** - დასძინა მან.

**24 საათი**

# დამოუკიდებლობის 15 წლისთავს ცხინვალი ლუჟკოვის სტუმრობითა და ნარდის ტურნირით აღნიშნავს

20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკა დამოუკიდებლობის 15 წლისთავს აღნიშნავს. როგორც რუსული საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ამ თარილის აღსანიშნავად ცხინვალში დიდი სამზადისია. საგზაო მშენებლობის სამმართველომ რამდენიმე საგზაო მაგისტრალის შეკეთება უკვე დაასრულა. ამ სამუშაოებისთვის 120 მილიონი რუსული რუბლია გამოყოფილი.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კომიტეტი დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად სპორტულ ღონისძიებებს გეგმავს. ღონისძიებები 14 სექტემბერს ესტაფეტით გაიხსნება. დაგეგმილია ჩრდილო-ოსეთის ალპინისტებთან ერთად სამხრეთ ოსეთის ყველაზე მაღალი მწვერვალის ბურსამძლის დაპყრობა, სადაც დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა აღიმართება. ცხინვალში საფეხბურთო და საფრენბურთო შეჯიბრებები, ასევე, ნარდის თამაშში პირველობა გაიმართება. ჭადრაკის ტურნირში გამარჯვებული კი პრეზიდენტ კოკოითის თასს მიიღებს. ამ ღონისძიებათა დაფინანსებას სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა საკუთარი ბიუჯეტიდან აპირებს. დამოუკიდებლობის დღეს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან ერთად აფხაზეთიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან და აფხაზეთიდან ჩამოსული სტუმრებიც იზეიმებენ.

ყველაზე საპატიო სტუმრად ცხინვალში მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს ელოდებიან. **24 საათი**

# ვალერი გელაშვილი პოლიტიკური ბრძოლისთვის სრულ მზადყოფნაშია

პირველი გვერდიდან

**"ვალერი გელაშვილი გადაურჩა სიკვდილის საფრთხეს. მოსალოდნელი ახალი პრობლემების გამო, იგი არ გადაიხვეწა სამშობლოდან. მისი ბრძოლის ჟინი კიდევ უფრო განმტკიცდა. იგი არ დაადგა პირადი შურისძიების გზას. განხორციელებულ თავდასხმას იგი განიხილავს საზოგადოებრივ პრობლემად და ამიტომ, მიზნად ისახავს არა - შემსრულებელთა, არამედ დამკვეთთა გამომზეურებას",** - ნათქვამია რესპუბლიკელების განცხადებაში.

ამავე ტექსტის თანახმად, **"რესპუბლიკური პარტია" არ წამოეგო პროვოკაციას და არ დაადგა ძალადობის ესკალაციისა და რადიკალური მარგინალიზაციის გზას. გელაშვილზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიის მხარდამჭერთა რიცხვი",** - ირწმუნებიან განცხადებაში; "რესპუბლიკიური პარტია", ასევე, მადლობას უხდის უცხო ქვეყნების დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს.

როგორც დავით უსუფაშვილმა განაცხადა, გელაშვილზე თავდასხმის ამბავი ბევრისთვის იქნება სწორი გაკვეთილი არა იმ მიმართულებით, რომ ადამიანები ხელისუფლებას უნდა დაემორჩილონ, არამედ პირიქით - თითოეულმა ადამიანმა ბოლომდე უნდა დაიცვას საკუთარი ინტერესები, თუნდაც იმ საფრთხის წინაშე დადგნენ, რაც გელაშვილმა გადალახა. უსუფაშვილის თქმით, გამოძიებას ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებია. **"როგორც ხელისუფლება უწოდებს, ეწ. ყაჩაღთა ბანდას, ჯერ ჩვენ ვერ მივაგენით. გელაშვილს მთელი "რესპუბლიკური პარტია" გვერდში უდგას,**



*რესპუბლიკელთა ლიდერი დავით უსუფაშვილი და ვალერი გელაშვილი მომავალს ოპტიმისტურად უყურებენ.*

**იგი მარტო არ არის და პარტია იქნება მისი დაცვის გარანტი",** - ამბობს უსუფაშვილი.

თავად დეპუტატმა ვალერი გელაშვილმა კი კვლავ დაადასტურა თავისი პოზიცია იმის თაობაზე, რომ თავდასხმა სახელისუფლებო წრეებში დაიგეგმა და მისი შემსრულებლები ხელშეუხებლობის გარანტიებით სარგებლობდნენ.

**"თუ ეს მცდარი აზრია, მაშინ გამოიძიონ და დაადასტურონ",** - აღნიშნა მან.

დეპუტატის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია და მომავალში იგი საპარლამენტო და პარტიული საქმიანობის გაგრძელებას სრული დატვირთვით გეგმავს. მანამდე ვალერი გელაშვილს გამოძიებასთან მოუწევს თანამშრომლობა. გელაშვილის ადვოკატის თამაზ რუხაძის განცხადებით, თავისი პირველი ჩვენება დაზარალებულმა დეპუტატმა გუშინ საღამოს საკუთარ სახლში მისცა. ადვოკატის ინფორმაციით, გამოძიებამ ამ დროისთვის ჩაატარა ორი ექსპერტიზა - იმ ავტომანქანის, რომელშიც ვალერი გელაშვილი თავდასხმის დღეს იმყოფებოდა (დეპუტატის მეუღლის სახელზე გაფორმებული ავტომანქანა "მერსედესი") და იმ ჯავშნიანი ავტომანქანის, რომელიც გელაშვილზე თავდასხმის დღეს მწყობრიდან გამოვიდა. ადვოკატის განცხადებით, ექსპეტიზამ დაადასტურა, რომ დაჯავშნულ ავტომანქანას გადაჭრილი ჰქონდა სამუხრუჭე მილები. გახდება თუ არა შესაძლებელი დეპუტატის ჩვენების ან მისი ვერსიის გამყარება თავდასხმის საქმესთან დაკავშირებული ახალი დეტალებით, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. მანამდე კი ხელისუფლება ვალერი გელაშვილის ერთ მოთხოვნას აკმაყოფილებს. საქმე ის გახლავთ, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე დეპუტატმა უსაფრთხოების გარანტია მოითხოვა და ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს მიმართა ოფიციალური წერილით, რომელიც შესაბამის უწყებას გადაეგზავნა. დეპუტატის სურვილი რამდენიმე საათში შესრულდა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვალერი გელაშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილა და გამოძიების დასრულებამდე მას სახელმწიფომ დაცვა გამოუყო. ამის შესახებ გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტის პრესსპიკერის მოადგილემ ალანა გაგლოევამ განაცხადა.

**24 საათი**

# იუსტიციის სამინისტრო ეპიდემიის საფრთხის არსებობას გამორიცხავს

პირველი გვერდიდან

რესპუბლიკურ საავადმყოფოში აცხადებენ, რომ დაავადება გადამდები არ არის და გამორიცხულია, რომ ქსოვრელს ეს ინფექცია რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი კახბერ შათირიშვილისგან გადასდებოდა. კახაბერ შათირიშვილის გარდაცვალების მიზეზადაც აღმავალი ინფექცია სახელდება. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ორივე პატიმარი სხვადასხვა პალატაში იყო მოთავსებული. ნუგზარ ქსოვრელის დაავადების მაპროვოცირებელ ფაქტორად არ გამოირიცხება პორფირია, რომელიც გენეტიკური დაავადებაა. ავადმყოფს საბოლოო დიაგნოზამდე კომპლექსური ინფუზიური და ანტიბაქტერიული მკურნალობა უტარდება. ქსოვრელი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუცლის ტკივილით 25 ივლისს თბილისის პირველი საპყრობილიდან შეიყვანეს. მდგომარეობა მას ერთი თვის წინ გაურთულდა. იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი რამაზ ღულაძე უკვე ოფიციალურად აცხადებს, რომ პატიმარ ნუგზარ ქსოვრელს დიაგნოზად პოლიმიელო რადიკულო ნევრიტი დაუდგინდა, რომლის გავრცელება კონტაქტური გზით გამოირიცხება. გუშინვე იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა გაავრცელა ვიდეოკადრები, სადაც ნათლად ჩანს, რომ ავადმყოფ ქსოვრელთან უშუალო კონტაქტისას სამედიცინო პერსონალი ინფექციისაგან დამცავ პირბადეს არ იყენებს.

სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ინფექციის არსებობის ვერსია გაამყარა ორი დღის წინ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან №1 საპყრობილეში ასი პატიმრის გადაყვანამაც. თუმცა, გუშინდელ პრესკონფერენციაზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა კოპაძემ კატეგორიულად განაცხადა, რომ ეტაპირება პოლიმიელო რადიკულო ნევრიტთან კავშირში არ არის. **"მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან №1 საპყრობილეში იმ პატიმრების ეტაპირება მოხდა, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლეოდა და მათი საავადმყოფოში გაჩერება აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა,"**- ამტკიცებს კოპაძე.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია კიდევ ერთი პატიმრის გარდაცვალების შესახებ. თუმცა, სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა ეპიდემიის მიზეზი ისევ უარყო. რამაზ ღულაძე აცხადებს, რომ ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა მსჯავრდებული სოლანგინი გენადი. ასაკოვანი მსჯავრდებული გარდაცვალების მიზეზი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა სახელდება. არ არსებობს პოლიმიელო რადიკულო ნევრიტით დაავადებული კიდევ ერთი პატიმარი.

ერთი სიტყვით, იუსტიციის სამინისტრო ამტკიცებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ირაკლი ქობულაძე დაავადებულია აღმავალი ინფექციით, სიმართლეს არ შეესაბამება.

**24 საათი**

# კომპენსაცია - შეღავათების ნაცვლად

## ვეტერანებს პენსიის შემცირების ეშინიათ

*დღეს საქართველოს ვეტერანთა კავშირის წევრები საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავენ. ისინი საქართველოს მთავრობას ვეტერანებისთვის პენსიების განახევრების მცდელობაში სდებენ ბრალს. ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის ბადრი მაჭარაშვილის განცხადებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მუშავდება კანონპროექტი, რომელიც ვეტერანებისთვის შეღავათების გაუქმებასა და პენსიების განახევრებას ითვალისწინებს. ჯანდაცვის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ვეტერანები შეცდომაში არიან შეყვანილნი, რადგან ახალი კანონპროექტი პენსიების შემცირებას სულაც არ გულისხმობს.*

თამარ დვალი

**"ჩვენი ინფორმაციით, ჯანდაცვის სამინისტროში მზადდება კანონპროექტი საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით. ეს არის კანონპროექტი უნივერსალური პენსიების შესახებ და კანონპროექტი სახელმწიფო კომპენსაციების შესახებ. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი მოსამსახურეების პენსია ამიერიდან სამჯერ შემცირდება. გარდა ამისა, კანონპროექტს თან ახლავს კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც სხვა მოქმედ კანონებში პარალელურ ცვლილებებს ითვალისწინებს. მაგალითად, ვეტერანთა შესახებ კანონში დღევანდელი ნორმებით დადგენილია რამდენიმე სახის შეღავათი. ახლა კი ეს შეღავათებიც უქმდება. თითქოს, ამის სანაცვლოდ სხვა სახის კომპენსაციები უნდა დაინიშნოს, მაგრამ რა სახით და რამდენი, ამას არ აკონკრეტებენ. დღეს ჩვენი პენსია 100 ლარს არ აღემატება და ისიც რომ სამჯერ შეგვიმცირონ, რაღა დაგვრჩება?"** - კითხულობენ საქართველოს ვეტერანთა კავშირის წევრები. ისინი ვარაუდობენ, რომ სახელმწიფომ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მაღალი თანამდებობის პირებმა საკმაოდ მაღალი პენსიები დაინიშნეს.

**"ასე რეფორმის ჩატარება არ შეიძლება. დადგენილია, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში მშვიდობიან დროს არ შეიძლება კანონშემოქმედებითმა ორგანომ მიიღოს ისეთი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ადამიანის ადრე მოპოვებულ უფლებებსა და გარანტიებს გააუქმებს. სამი თვის განმავლობაში რამდენიმეჯერ მივმართეთ წერილობით ჯანდაცვის სამინისტროს, პარლამენტს, თავდაცვის მინისტრს, მაგრამ პასუხი არც ერთი ინსტანციიდან არ მიგვიღია. 13 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის წინ გამაფრთხილებელ აქციას გავმართავთ. იქნებ, მაშინ მაინც მოგვაქციონ ყურადღება,"** - აღნიშნა თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკმა რობინზონ პაპიძემ.

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში აცხადებენ, ვეტერანებს ცრუ ინფორმაცია აქვთ, რადგან უკვე დანიშნული პენსიების შემცირებას ახალი კანონპროექტი არ გულისხმობს.

**"ახალ კანონპროექტში არ არის საუბარი იმ ადამიანებზე, რომლებსაც პენსია უკვე დანიშნული აქვთ. იყო შემთხვევები, როდესაც მაღალი თანამდებობის პირებმა საკმაოდ მაღალი პენსიები დაინიშნეს. მთავრობა მიიჩნევს, რომ საჭიროა, დაწესდეს ზედა ზღვარი, რომელიც პენსიის მაქსიმალურ ოდენობას განსაზღვრავს. მათ, ვისაც მაღალი ხელფასი აქვთ, მისი მესამედი პენსია დაენიშნებათ,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ მეგრელიშვილმა. მისივე განმარტებით, შეღავათები მართლაც გაუქმდება, თუმცა მათ სანაცვლოდ, ვეტერანები ფულად კომპენსაციას მიიღებენ. მათი ოდენობა ჯერ დაზუსტებული არ არის, რადგან ვეტერანებს დიფერენცირებული პენსიები და შეღავათები აქვთ. მეგრელიშვილის თქმით, მომავალი წლიდან პენსიების ზრდაც იგეგმება. თუ რამდენით მოიმატებს პენსიები, ეს ბიუჯეტის შემოსავლებზეა დამოკიდებული.

## მოკლედ

### კობა დავითაშვილის მანქანა გაქურდეს

გუშინწინ, საღამოს, დაახლოებით, 23 საათზე ბათუმში დეპუტატი კობა დავითაშვილის ავტომანქანა გაქურდეს. მოპარულია ვიდეომაგნიტოფონი და საბურავების ხუფები, ჩამტვრეულია მინა. ქურდობა რურუას ქუჩაზე მოხდა, სადაც კობა დავითაშვილი მეგობართან სტუმრად იმყოფებოდა. დეპუტატი მომხდარს კრიმინალურ ფაქტად არ მიიჩნევს და აცხდებს, რომ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე პოლიტიკური ოპონენტები ანგარიშსწორების ასეთ მეთოდებს მიმართავენ. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სამართალდამცავები შემთხვევის ადგილზე დროულად მივიდნენ. კობა დავითაშვილი გამოძიებას სკეპტიკურად უყურებს და აცხადებს, რომ გამოძიებას ჯერ კიდევ არ გამოუძიებია შარშანდელი ფაქტი, როდესაც ბათუმში მუხრუჭის მილები გადაუჭრეს.

**ინტერპრესნიუსი**

### ავადმყოფი პატიმრები გაჩხრიკეს

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება ჩატარდა. იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ჩხრეკის შედეგად ავადმყოფ პატიმართა პალატებიდან ამოიღეს სხვადასხვა დასახელების აკრძალული საგნები: მობილური ტელეფონები და მათი სამუხტები, 14 ცალი მაკრატელი, 16 დანა, 8 სადგისი, 40 ჩანგალი, 20 ცალი ბანქოს დასტა. როგორც იუსტიციის სამინისტროში განმარტავენ, პროფილაქტიკური ღონისძიება განაპირობა სამკურნალო დაწესებულებაში მომხდარმა ინციდენტმა: 10 სექტემბერს, დაახლოებით, 18 საათზე დაწესებულების დირექტორის კაბინეტში მიღებაზე გამოცხადდა წარსულში ნასამართლევი, ამჟერად მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო ტარებისთვის განსასჯელი, 45 წლის ლევან ცანავა, რომელიც, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, შეურაცხადად არის მიჩნეული. კაბინეტში შესვლისას მან მოულოდნელად ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დაწესებულების დირექტორს გურამ მენთეშაშვილსა და მთავარ ექიმს დავით ასათიანს. ცანავა, იზოლირების მიზნით, თბილისის N7 საპყრობილეში გადაიყვანეს, ფაქტის შესახებ კი დაუყოვნებლივ ეცნობა გენერალურ პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს. ამ ეტაპზე თანამდებობრივი უფლებამოსილება შეუჩერდათ სამკურნალო დაწესებულების დირექტორის მოადგილეს რეჟიმისა და უსაფრთხოების დარგში ვლადიმერ კაპანაძეს და ოპერატიული მორიგის თანაშემწეს კახა ბრეგვაძეს. ჩხრეკის ღონისძიების პარალელურად, ჩატარდა ავადმყოფთა საქმეების შემოწმება, რის საფუძველზეც, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, 100-მდე პატიმარი N1 საპყრობილეში გადაიყვანეს. უახლოეს მომავალში მათ შესაბამის დაწესებულებებში გადაანაწილებენ.

**24 საათი**

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** თერჯოლის რაიონში მკვლელობა მოხდა. სოფელ საზანოში 58 წლის რომან ფოცხვერაშვილმა შელაპარაკებისას საკუთარი ძმა ანზორ ფოცხვერაშვილი სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა. პოლიციამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავა, ხოლო შემთხვევის ადგილიდან "იჟ 17" სისტემის სანადირო თოფი ამოიღო, რომელიც რეგისტრირებული არ ყოფილა. სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. მოქალაქე კანდიკო გაბედავას 2 650 კოლოფი უაქციზო სიგარეტი აფხაზეთიდან ენგურის ხიდით გადმოჰქონდა. გარდა ამისა, სამართალდამცველებმა 3 384 კოლოფი უაქციზო სიგარეტი მდინარე ენგურის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. კონტრაბანდის მფლობელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია.

რაც შეეხება შიდა ქართლს, აქ ფინანსურმა პოლიციამ მოქალაქე ღვთისო ფერაძე და გიორგი წინამძღვრიშვილი დააკავა, რომლებსაც ცხინვალიდან 2 150 კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადმოჰქონდათ. სამივე ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლით ("მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა) დაიწყო. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე რეგიონული საბაჟო "დასავლეთის" "ფოთის" საბაჟოს სამი ინსპექტორის - ვლადიმერ გაბელაიას, მალხაზ გახოკიას და მერაბ კალანდარიშვილის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, აღნიშნულმა პირებმა საბაჟოს საწყობში გარკვეული ვადით ტრანზიტული ტვირთი მოათავსეს და შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ტვირთის გატანა არ გააკონტროლეს და მათზე დაკისრებული სხვა მოვალეობები არ შეასრულეს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მაკეტის საბოლოო ვარიანტი კვირის ბოლოსთვის გახდება ცნობილი. როგორც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ მანჯგალაძემ განაცხადა, ტექნიკურ მუშა-ჯგუფს, რომელიც აღნიშნულ პროექტზე იმუშავებს, თბილისში დღეს ელიან. შეგახსენებთ, რომ ახალი აეროპორტის მშენებლობას თურქული კომპანიები "ტავი" და "ურბანი" განახორციელებს. მათთან ხელშეკრულება ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 6 სექტემბერს გააფორმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# არდადეგები დამთავრდა, დიალოგი არ იწყება

პირველი გვერდიდან

გაუსწორდნენ "რესპუბლიკელ" ვალერი გელაშვილსა და "მემარჯვენე" თამაზ ყაჭეიშვილს; "კონსერვატორების" ლიდერს კობა დავითაშვილს მანქანა გაუძარცვეს, ხოლო "რესპუბლიკელ" დავით ბერძენიშვილს - საცხოვრებელი ბინა.

საშემოდგომ სესიას საპარლამენტო უმრავლესობაც ზარალით ხვდება. ოღონდ, ოპოზიციისგან განსხვავებით, მან უფრო ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღო - სახელისუფლებო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის კობა ბექაურის გვარსა და სახელს ოპოზიცია და მასმედია ყველა ბრუნვაში ატრიალებს. გარდა ამისა, სულ ცოტა ხნის წინათ, უმრავლესობის რიგები საკუთარი ნებით დატოვა დეპუტატმა დავით ზურაბიშვილმა.

ასე რომ, საშემოდგომო "მარათონი" საკმაოდ დაძაბულ და ნერვულ ფონზე იწყება. ასეთ ვითარებაში უმრავლესობისა და ოპოზიციის რაიმე ფორმით თანამშრომლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამის დადასტურებაა, თუნდაც, ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანსა და "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერს დავით გამყრელიძეს შორის დაპირისპირება, რომელიც დღითი დღე მწვავდება.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გამყრელიძის თანაფრაქციელმა მამუკა კაციტაძემ კიდევ ერთხელ მოითხოვა მიმდინარე კვირის პლენარული სხდომის დღის წესრიგში იმ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხის შეტანა, რომელმაც ბექაურ-რამიშვილის სკანდალის გარემოებები უნდა შეისწავლოს. ამ მოთხოვნას თავდაპირველად, თითქოს, უმრავლესობის წევრებიც ეთანხმებოდნენ (კერძოდ, გიგა ბოკერია), მაგრამ კენჭისყრის დროს მხოლოდ ორი მხარდამჭერი (თავად მამუკა კაციტაძე და ელენე თევდორაძე) გამოუჩნდა, რაც "ანტიმაჭავარიანული



ოპოზიციის მიერ მომზადებული იარაღი შესაძლოა, მასვე მიუტრიალდეს.

პროცესის" დასაწყებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

უმრავლესობამ, როგორც ჩანს, ჩაიფიქრა, რომ "მემარჯვენეების" მიერ ვიცე-სპიკერისთვის მოქნეული მუშტი თავად დავით გამყრელიძეს მოხვდეს. ყოველ შემთხვევაში, ბიუროს სხდომაზე მიხეილ მაჭავარიანი თავად გამოვიდა ისეთი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივით, რომელიც, ტერმინალ "ოპიზას" საქმიანობასთან ერთად, გამყრელიძის ბიზნესინტერესებითაც დაინტერესდება.

**"თუ რომელიმე ბიზნესსაქმიანობაში ჩემი გვარი წამოტივტივდება, პირობას ვდებ, რომ ბიუროს სხდომათა დარბაზში ფეხს აღარ შემოვდგამ,"** - თავის მხრივ, საკუთარ პოლიტიკურ უმწიკვლობაზე საუბრობს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. მის ინიციატივას უმრავლესობა ფრაქციის სხდომაზე განიხილავს და, სავარაუდოდ, დღესვე წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად.

ოპოზიციისთვის მისაყენებელი კონტრდარტყმის შესაძლო შედეგებით წინასწარ ტკბება დეპუტატი ნოდარ გრიგალაშვილი, რომელიც დროებითი კომისიისგან იმის დადგენასაც ითხოვს, თუ რამდენად შეესაბამება პარლამენტარების საქმიანობა მათ სტატუსს.

**"კანონდამრღვევთა შორის უმრავლესობის წარმომადგენლებიც იქნებიან, მაგრამ, ამასთან, ისეთი ფაქტები გამომჟღავნდება, რომ პარლამენტში ოპოზიცია აღარ დარჩება,"** - ირწმუნება განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე.

მიხეილ მაჭავარიანის შეთავაზება მამუკა კაციტაძისთვის მიუღებელია. "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი აპირებს, პლენარულ სხდომას თავისი ინიციატივა წარუდგინოს, თუმცა, კარგად მოეხსენება, რომ მისი მიღების მიზერული შანსიც კი არ არსებობს.

ერთი სიტყვით, გამყრელიძე-მაჭავარიანის დაპირისპირებაში უპირატესობა თანდათან ვიცე-სპიკერის ხელში გადავიდა. იგი ოპონენტის დამარცხებას იგივე იარაღით აპირებს, რომლითაც ოპოზიცია მის ჩაძირვას გეგმავდა - როგორც აღვნიშნეთ, საგამოძიებო კომისიას მიხეილ მაჭავარიანის ბიზნესინტერესების შესწავლის ნაცვლად, სავარაუდოდ, დავით გამყრელიძის ბიზნესინტერესების შესწავლა დაევალება.

რაც შეეხება 13-16 სექტემბრის პლენარული სხდომების დღის წესრიგში შეტანილ სხვა საკითხებს, აქცენტი, ძირითადად, საბიუჯეტო ცვლილებებსა და საკადრო გადაადგილებებზეა გადატანილი.

დღევანდელი სხდომა სწორედ 2005 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების განხილვით დაიწყება, რომელიც ხვალ და ზეგ კომიტეტებში გადაინაცვლებს, პარასკევს კი კენჭისყრით დასრულდება.

საკმაოდ სოლიდურია საკადრო ცვლილებების ჩამონათვალიც. ამ კვირაში ვასილ სიხარულიძე - ნატო-ში, ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილი ევროსაბჭოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაინიშნება (ამ თანამდებობაზე თბილისის ყოფილი მერი ლანა ღოღობერიძეს შეცვლის), ზაზა კანდელაკი კი პოლონეთში საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტს გამოეთხოვება.

ორ პარლამენტარს, აკაკი ბობოხიძესა და ნუგზარ მგელაძეს ვადამდე შეუწყდება სადეპუტატო უფლებამოსილება. როგორც ცნობილია, პირველი მათგანი იმერეთის გუბერნატორად დაინიშნა, მეორე კი - ბათუმის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

ცვლილებები იგეგმება სასამართლო ხელისუფლებაშიც. ამ დღეებში პარლამენტი უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილებას შეუწყვეტს იური ტაბუცაძეს, გიორგი ქოიავას, ლენვერ ბოჭორიშვილს და ლოტბარ კუპატაძეს. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის განმარტებით, ეს საკითხი უზენაესი სასამართლოს რეორგანიზაციას უკავშირდება და ოთხივე მოსამართლე თანამდებობას პირადი განცხადების საფუძველზე ტოვებს.

# ხალხში ჩადებული ინვესტიციის ეკონომიკური მნიშვნელობა



ჯონ ტეფტი, აშშ-ს ელჩი საქართველოში.

პირველი გვერდიდან

საქართველო მეხუთე ქვეყანაა, რომელიც ხელს მოაწერს "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამას". ამა წლის დასაწყისში მსგავსი ხელშეკრულებები დაიდო ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა მადაგასკარი, ჰონდურასი, კაბო-ვერდე და ნიკარაგუა, თუმცა საქართველო ყველაზე დიდი მოცულობის პაკეტს აწერს ხელს. ამ ქვეყნებს გააჩნიათ საერთო მახასიათებლები. ამ ქვეყნების მთავრობები: (1) უდიდეს პრიორიტეტს ანიჭებენ სიღარიბის შემცირებას ეკონომიკის განვითარების გზით; (2) ახორციელებენ სერიოზულ ანტიკორუფციულ კამპანიებს, რომლებშიც მთავრობის გარდა სამოქალაქო საზოგადოებაც მონაწილეობს; (3) ახორციელებენ ინვესტიციებს საკუთარი ქვეყნის მოსახლეობაში: განათლების, ჯანდაცვისა თუ სოციალური კეთილდღეობის სფეროებში; და (4) აწარმოებენ კონსულტაციებსა და კოორდინაციას სამოქალაქო საზოგადოებასა და დონორ ორგანიზაციებთან.

იმ მთავრობებმა, რომელთათვისაც ღირებულია დემოკრატიული პრინციპები, ხალხის ნდობის შენარჩუნების მიზნით უნდა შეძლონ დემოკრატიის ეკონომიკური უპირატესობების დემონსტრირება. "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამით" გათვალისწინებული დახმარება შედეგებს ერთ დღეში ვერ მოგვიტანს, მაგრამ ეს ხელშეწყობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფინანსურ ნაკადს, რომელიც დაემატება საქართველოს მთავრობის ნებას, შეამციროს სიღარიბე. ეს თანხა დაემატება ენერგეტიკის, ადგილობრივი ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მეწარმეობისა და ფინანსური სფეროების განვითარებისათვის სხვა დონორების მიერ გამოყოფილ ფინანსურ რესურსებს. "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა" დააჩქარებს ამ ინვესტიციების შემოტანას და ხელს შეუწყობს საქართველოს კერძო სექტორის აყვავებას.

"ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის" წარმატებისათვის აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობა და სამოქალაქო საზოგადოება მუდმივად ერთგულნი რჩებოდნენ ისეთი პრინციპებისა, როგორიცაა გამჭვირვალობა, კორუფციასთან ბრძოლა და შრომისმოყვარეობა. საქართველოში ბრწყინვალედ მოღვაწეობს გუნდი - "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა-საქართველო", რომელსაც სათავეში უდგას პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი. ხელშეკრულების ხელმოწერამდე უკვე ბევრი რამ გაკეთდა. "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა-საქართველო" მედიის საშუალებით რეგულარულად მოგაწვდით განახლებულ ინფორმაციას პროგრამის განხორციელების შესახებ.

აშშ-ს საელჩო იზიარებს თავისი ქართველი მეგობრების სიხარულს, რომელიც ამ მნიშვნელოვან მოვლენასთანაა დაკავშირებული და რომელიც საქართველოში ჩემი დიპლომატიური მოღვაწეობის დასაწყისს ემთხვევა. ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ნიშნავს საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას. უფრო მეტიც, ეს ნიშნავს მთელი ქართველი ხალხის ჯეროვნად დაფასებას, რადგან ამ ხალხმა 2003 წელს ნათლად გამოხატა, თუ როგორი მომავლის შენება სურს თავისი შვილებისა და ქვეყნისათვის. აშშ კვლავაც შეუწყობს ხელს საქართველოს ეკონომიკის ზრდას და საქართველოსა და აშშ-ს მოქალაქეებს შორის უფრო მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას.

# ბიუჯეტის ცვლილებების პროექტმა საკომიტეტო მოსმენა უხმაუროდ გაიარა

პირველი გვერდიდან

**ეს კი ხარჯებში არსებულ გარღვევას მთლიანად აღმოფხვრის. თანხების ათვისების მხრივ ბიუჯეტს სხვა პრობლემები არ გააჩნია,"** - აცხადებდა ალექსიშვილი.

რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებებს, ფინანსთა სამინისტრო მათი გამოშვების საჭიროებას ამ ეტაპზე არ ხედავს, რადგან ბიუჯეტში თანხების დამატებით მობილიზაცია ხორციელდება.

**"სწორედ ამიტომ, დამატებით ვალის აღება საჭიროდ არ მიგვაჩნია. სექტემბერში ქვეყნის ფინანსურ ბაზარს დავაკვირდებით და, თუ საჭირო იქნება, სახაზინო ვალდებულებებს გამოვუშვებთ. თუ არა, ბიუჯეტში ამ მხრივ გათვალისწინებულ 20 მილიონ ლარს წინა წლებში გამოშვებული ვალდებულებების დაფარვას მოვახმართ,"** - განაცხადა ალექსიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სახაზინო ვალდებულებების გამოშვება ფინანსთა სამინისტრომ 2005 წლის ივნისის დასაწყისში შეწყვიტა. მას შემდეგ სახაზინო ვალდებულებებზე აუქციონი არ გამართულა. 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტის დაფინანსების წყაროებში სახაზინო ვალდებულებებისათვის 20 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე კიდევ ერთი საკითხი დაისვა. როგორც ცნობილი გახდა, საწვავზე ფასების ზრდა სექტემბრის თვის ინფლაციის მაჩვენებლებში აისახება. აღნიშნული საკითხი პარლამენტარმა ვაჟა კილაძემ წამოაყენა. იგი დაინტერესდა, ემთხვევა თუ არა ერთმანეთს საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროსა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ დაანგარიშებული ინფლაციის მაჩვენებელი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განმარტება სხდომაზე ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა დავით ამაღლობელმა გააკეთა. მისი განმარტებით, ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებლის გამოთვლაზე სტატისტიკის დეპარტამენტია პასუხისმგებელი, რადგან მისი მეთოდოლოგია უფრო სრულყოფილია.

**"ჩვენი მონაცემებით, 2004 წლის აგვისტოდან 2005 წლის აგვისტომდე ინფლაციის წლიურმა მაჩვენებელმა 7,2 პროცენტი შეადგინა. თვეების განმავლობაში ეროვნული ბანკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მაჩვენებლები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ საბოლოოდ წლიური მაჩვენებელი ყოველთვის მსგავსი გამოდის,"** - განაცხადა ამაღლობელმა.

მაგალითად, ფინანსთა მინისტრის ლექსო ალექსიშვილის ინფორმაციით, ინფლაციის წლიური მაჩვენებელი, აგვისტოს მონაცემებით, ექვსი პროცენტია, რაც ბიუჯეტით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებშია.

ინფლაციაზე განცხადება კომიტეტის თავმჯდომარემაც გააკეთა. ირაკლი კოვზანაძე მიიჩნევს, რომ ბენზინსა და დიზელზე ფასების მატება ინფლაციის წლიურ მაჩვენებელზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს.

საბოლოოდ, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე კომიტეტს 2005 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტთან დაკავშირებით, არსებითი შენიშვნები არ გამოუთქვამს.

**"გარკვეული შენიშვნები, რა თქმა უნდა, გვექნება. კომიტეტის დასკვნას ჩვენ აუცილებლად მივაწვდით პლენარულ სხდომას, რომელსაც სხვა კომიტეტების მიერ გამოთქმულ შენიშვნებსაც დავურთავთ,"** - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ.

# საააკაშვილი აშშ-დან 295 მილიონ დოლარს წამოიღებს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილთან ერთად, გუშინ დილით, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. იგი მონაწილეობას მიიღებს გაერო-ს გენერალური ასამბლეის საიუბილეო, მე-60 სხდომაში. სესიაზე სიღარიბის დაძლევის, დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვის განვითარების, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და გაერო-ს რეფორმირების საკითხებს განიხილავენ.

სააკაშვილი სასტუმრო “უოლდორფ ასტორიაში” გაჩერდება, რომლის ძირითად დარბაზშიც აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს შეხვდება და სამახსოვრო ფოტოს გადაიღებს. სწორედ ამის შემდეგ შედგება “ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის” ფარგლებში ამერიკის მთავრობასა და “ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის” წარმომადგენლებთან ხელშეკრულების გაფორმება.

მემორანდუმის თანახმად, რომელსაც ნიუ-იორკში კორპორაცია “ათასწლეულის გამოწვევის” ვიცე-პრეზიდენტი ჩარლზ სეტნესი და საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი სალომე ზურაბიშვილი მოაწერენ ხელს, საქართველო 5 წლის განმავლობაში, გრანტის სახით, 295 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს. თანხა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას მოხმარდება და მის ფარგლებში ოთხი პროექტი განხორციელდება. კერძოდ, 50 მილიონი აშშ დოლარი ახალციხე-ახალქალაქი-ნინოწმინდას ავტობანის მშენებლობაზე დაიხარჯება; 40 მილიონი - ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტისთვის, 70 მილიონი - ჩრდილოეთი-სამხრეთის მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაციის პროექტისათვის; ხოლო 40 მილიონი აშშ დოლარი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტს მოხმარდება.

აღნიშნული თანხის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება ვაშინგტონში მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს მიიღეს.

14 სექტემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის მე-60 სესიის მაღალი დონის პლენარული სხდომა გაიმართება. ამ დღესვე დაგეგმილია გაერო-ს დემოკრატიის ფონდის პრეზენტაციაც. სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პატივსაცემად, გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი ოფიციალურ ლანჩს გამართავს.

მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო მეთაურებთან ერთობლივ ფოტოსურათს გადაიღებს, რის შემდეგაც კოლუმბიის უნივერსიტეტს ეწვევა. იქ საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით გამოვა თემაზე: “ძალაუფლების აღება მშვიდობიანი გზით: 2000-2004 წლების პოსტკომუნისტური რევოლუციების გამოძახილები.”

გაერო-ს გენერალური ასამბლეის მე-60 სესიის მაღალი დონის პლენარული სხდომის დილის სესიაზე მიხეილ სააკაშვილი სიტყვით 15 სექტემბერს გამოვა. მოხსენების შემდეგ მას შეხვედრა ექნება ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადთან.

16 სექტემბერს პრეზიდენტი სხვა ორმხრივ შეხვედრებს გამართავს, რის შემდეგაც სამშობლოში გამოემგზავრება.

**24 საათი**

# ათასწლეულის განვითარების მიზნები - რეალური თუ მიუღწევადი?

*ექსპერტები პესიმისტურ პროგნოზებს აკეთებენ - 2015 წლამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 60 პროცენტი იქნება*

მარიამ ჭაჭავაძე

შევარდნაძის ხელისუფლების მიერ, ხუთი წლის წინ აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ ანგარიშით პრეზიდენტი სააკაშვილი გაერო-ს სამიტზე 15 სექტემბერს წარდგება. როგორც ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ირწმუნებიან, ეს მოხსენება ქვეყანაში მიმდინარე ტენდენციების შესახებ არცთუ სახარბიელო სურათს ქმნის.

საუბარია 2000 წლის სექტემბერში ნიუ-იორკში, ათასწლეულის სამიტზე საქართველოს მაშინდელი მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებებზე - 2015 წლამდე ქვეყნის განვითარებაზე მიმართული უმნიშვნელოვანესი მიზნებისა და ამოცანების მიღწევა. მაშინ ეს მიზნები და ამოცანები მკაფიოდ განისაზღვრა. საქართველოს გარდა, მაშინ მსგავსი ვალდებულებები საკუთარ თავზე 190-მა ქვეყანამ აიღო. ახლა, დათქმული ვადის ზუსტად მესამედია გასული და 191-ვე ქვეყნის პირველი პირები ანგარიშის ჩასაბარებლად გაერო-ში კიდევ ერთხელ შეიკრიბებიან.

უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა, საქართველოს განათლების სისტემის ინტეგრაცია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში, სქესთა თანასწორობა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება, აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა, ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა და განვითარებისათვის მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება - ეს სწორედ ის ვალდებულებებია, რომლის შესრულება 2015 წლამდე საქართველომ ნიუ-იორკის ათასწლეულის სამიტზე აიღო. განვლილი ხუთი წელი და ამ მხრივ ქვეყანაში შექმნილი ტენდენციები ცალკეულ ექსპერტებს არცთუ ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების საშუალება აძლევს.

თავად განსაჯეთ: ჯერჯერობით მიუღწეველ მიზნად რჩება ქვეყანაში უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, დღეს ასეთი მოსახლეობის რაოდენობა 52.7 პროცენტს შეადგენს. სხვათა შორის, ეს მაჩვენებელი 2000 წელს, რომელიც ერთგვარ ათვლის წლადაც კი იქნა მიჩნეული, 51.8 პროცენტს შეადგენდა. არადა, აღებული ვალდებულების თანახმად, საქართველოს მთავრობამ დარჩენილ ათ წელიწადში ეს ციფრი, სულ ცოტა, უნდა გაანახევროს, ანუ 2015 წლამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა 26 პროცენტს არ უნდა აჭარბებდეს.

სავალალო მდგომარეობაა ბავშვთა სიკვდილიანობის თვალსაზრისითაც. 2000 წლიდან მოყოლებული, წლიური მაჩვენებლები აქაც პროგრესირებადია. აღებული ვალდებულების თანახმად, ხუთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა 2015 წლამდე ორი მესამედით უნდა შემცირდეს. 2000 წელს ეს მაჩვენებელი იყო 1000 მოსახლეზე 24 გარდაცვლილი ბავშვი, ბოლო მონაცემებით კი 26-27-ს აღწევს.

მნიშვნელოვნად გაუარესდა დედათა ჯანმრთელობის მაჩვენებელიც. თუკი 2000 წელს დედათა სიკვდილიანობა 1000 მოსახლეზე 47-ს შეადგენდა, დღეს ეს მონაცემები 52-მდე აღწევს.

მეექვსე მიზნის თანახმად, საქართველოს ხელისუფლებამ აივ/შიდსის, მალარიისა და სხვა ძირითადი დაავადებების გავრცელების შეჩერება და უკუპროცესის დაწყების ვალდებულება აიღო, თუმცა დღეისათვის ამ მხრივაც ვითარება არცთუ სახარბიელოა. 2000 წლიდან მოყოლებული, ხსენებული დაავადებათა გამოვლენილი ახალი შემთხვევები ყოველ წელს კატასტროფულად იზრდება. ასე მაგალითად: თუკი 2000 წელს აივ/შიდსის მხოლოდ 74 შემთხვევა გამოვლინდა, 2003 წელს ეს მაჩვენებელი 100-მდე გაიზარდა.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია საქართველოსა და მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ის არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ათასწლეულის განვითარების მიზანთა განხორციელების კამპანიაში აქტიურად მონაწილეობს. ის მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების ერთგვარ მონიტორინგს აწარმოებს. როგორც ასოციაციის ექსპერტი და ამ მონიტორინგის აქტიური წევრი კახა იმერლიშვილი ამბობს, გასული ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას აღებული ვალდებულებებიდან თითქმის არც ერთი არ შეუსრულებია. მეტიც, თითქმის არაფერი გაკეთებულა იმისთვის, რომ გაეროს ათასწლეულის სამიტზე ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ გაჟღერებული მიზნები და ამოცანები შესრულებადი ყოფილიყო. **“თუკი დღეს არსებული ტენდენციები შენარჩუნდა, მაშინ თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ზემოთ ხსენებული მიზნები 2015 წლამდე მიუღწევადი იქნება. კარგად მესმის, რომ განვლილ ხუთ წელზე პასუხი მხოლოდ ახალ ხელისუფლებას მოსთხოვო, ეს უსამართლობაა. შესაძლოა, ვარდების რევოლუციიდან საკმარისი დრო არ გასულა იმისთვის, რომ არსებული მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილიყო, თუმცა ეს დრო სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ტენდენციები მნიშვნელოვნად შეცვლილიყო. დღეს კი ჩვენ ვხედავთ, რომ ათასწლეულის მიზნების შესასრულებლად ხელისუფლება რეალურად თითქმის არაფერს არ აკეთებს,"** - აღნიშნა “24 საათთან” საუბრის დროს კახა იმერლიშვილმა. მეტიც, როგორც ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ექსპერტი ამბობს, თუკი ქვეყნის მთავრობამ ასეთი ტემპებით გააგრძელა მუშაობა და მისთვის აღებული ვალდებულებების შესრულება პრიორიტეტული არ გახდა, 2015 წლამდე სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის რაოდენობა 60 პროცენტამდე გაიზრდება.

*ენერგოსექტორის მონიტორინგი*

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# თელასმა" სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი დაიწყო

სააქციო საზოგადოება "თელასმა" სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი დაიწყო. როგორც "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ვალერი ფანცულაიამ "მედიანიუსს" განუცხადა, თბილისს ელექტროენერგიას სომხეთის საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია მანამდე მიაწვდის, ვიდრე ამის საჭიროება იქნება, ანუ ელექტროსისტემაში ადგილობრივი ენერგორესურსების დეფიციტი არ აღმოიფხვრება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზამთრის პერიოდში იქნება. ამასთანავე, ელექტროენერგიის იმპორტით, ქვეყანაში არსებული ჰიდროენერგორსურსებიც დაიზოგება. ელექტროენერგიის იმპორტი 220-კილოვატიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის, "ალავერდის" მეშვეობით განხორციელდა. დედაქალაქი დღისით და ღამით - 60-70, პიკის საათებში კი 100 მეგავატ ელექტროენერგიას მიიღებს. **მედიანიუსი**

# ქვეყნის ენერგომომარაგება სტაბილურია

საქართველოს ელექტროსისტემაში 10 სექტემბერს, ღამით მომხდარი ავარია აღმოფხვრილია. როგორც "სახელმწიფო ელექტროსისტემის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო ჯეირანაშვილმა განაცხადა, ავარია 500-კილოვოლტიან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ "იმერეთზე" მოხდა. ამის გამო, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა აღმოსავლეთ საქართველოს, მათ შორის - ქვეყნის დედაქალაქს. დასავლეთ საქართველოს ელექტრომომარაგება კი არ შეფერხებულა. დენის გათიშვის გამო გამოირთო თბილისის მეტროპოლიტენი, შეწყდა სატელეფონო კავშირი, ელექტროენერგიის მიწოდება არ შეწყვეტია თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონს. აღნიშნული უბნები სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიით მარაგდება. "იმერეთის" აღდგენა რამდენიმე საათში მოხერხდა. დედაქალაქის სრული ელექტრომომარაგება 24 საათზე აღდგა. როგორც ნინო ჯეირანაშვილი აცხადებს, ამჟამად ქვეყნის ენერგოსისტემაში შექმნილი სიტუაცია სტაბილურია. **მედიანიუსი**

# რა კვებავს საპრეზიდენტო ენერგოოპტიმიზმს?

პარასკევს საქართველოს პრეზიდენტმა მოსახლეობას ელექტროენერგიის გაუმჯობესების პირობა მისცა. ცხადია, ზაფხულის განმავლობაში საკმაოდ გახშირებული ენერგოავარიები, ბუნებრივი კატაკლიზმები და რეგიონების ენერგომომარაგების მდგომარეობა პრეზიდენტს აღნიშნული შეპირების გაცემის საბაბს ვერ უნდა აძლევდეს, თუმცა, როგორც მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, მის ოპტიმიზმს ელექტროენერგიის საფასურის გაზრდის მაჩვენებელი კვებავს.

"საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" აცხადებენ, რომ ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი 70 პროცენტამდე გაიზრდება.

"გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" მიაჩნიათ, რომ კომუნალურმა გამრიცხველიანებამ, რამაც მოსახლეობაში სერიოზული წინააღმდეგობა გამოიწვია, გაამართლა და თანხების ამოღებამ დღემდე არნახულ შედეგს მიაღწია.

"ივლისში თანხის ამოღება 59 პროცენტამდე გაიზარდა. 160 მილიონი კილოვატ/საათიდან 130 მილიონ კილოვატ/საათამდე შემცირდა ყოველთვიური მოხმარება, მაშინ, როცა მოსახლეობას ელექტროენერგია თითქმის 24 საათის განმავლობაში აქვს," - განაცხადეს კომპანიაში.

"საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" აღნიშნავენ, რომ კომუნალური გამრიცხველიანება მომხმარებლისთვის ბევრად უფრო მომგებიანია, რადგან ინდივიდუალური გამრიცხველიანების შემთხვევაში ელექტროენერგიის ტარიფი საგრძნობლად გაიზრდება.

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ადმინისტრაცია მომხმარებელს მოუწოდებს, რაიმე გაუგებრობის ან პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში უშუალოდ კომპანიას მიმართონ. "ეს ბევრად უფრო იაფი, ეფექტური და დაჩქარებული გზა იქნება პრობლემის გადასაჭრელად," - აღნიშნავენ კომპანიაში.

თუმცა ცხადია, რომ მომავალში ინდივიდუალური გამრიცხველიანების თემა ისევ აუცილებლად წამოიჭრება, რამაც აშკარა უსამართლობები, რომელიც კომუნალურ გამრიცხველიანებას თან სდევს ხოლმე, უნდა აღმოფხვრას. წინააღმდეგ შემთხვევაში გართულებები ამ მიმართულებით ისევ მოსალოდნელია.

რაც შეეხება ოპტიმიზმის სხვა წყაროებს - ოფიციალური ინფორმაციით, ეს გახლავთ ის სარემონტო სამუშაოები, რომლებიც ქართულ ჰესებზეა გაჩაღებული და რომელთა პრეზენტაცია წლის დასაწყისში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ მოახდინა. თუმცა, ფაქტია, რომ სრული მასშტაბით ამ სამუშაოების განხორციელება ვერ ხერხდება და, შესაბამისად, საპრეზიდენტო ენერგოოპტიმიზმი, შესაძლოა, წელსაც გადაჭარბებული აღმოჩნდეს. მით უმეტეს, თუ გაზის ფასის მოსალოდნელ ზრდასაც გავითვალისწინებთ და იმასაც, რომ თავად ზაფხულშიც ელექტროგადამცემ ხაზებზე მომხდარი ავარიების რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო.

# საფრთხეები, რომელიც რუსული გაზის გაძვირებას უკავშირდება

*რუსეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის შესაძლო გაზრდა ბოლო დროის ენერგოსიახლეებს შორის მთავარია. ეს აშკარად არასასიამოვნო ინფორმაცია, რომელიც გასულ კვირას, ტრადიციისამებრ, რუსულმა მხარემ გააჟღერა, ქვეყანას სერიოზული პრობლემების წინაშე აყენებს და არა მხოლოდ ბუნებრივი აირის სამომხმარებლო ტარიფის, არამედ ელექტროენერგიის ტარიფის ზრდის საშიშროებასაც აშკარად ქმნის. თუმცა მანამ, სანამ ამ საშიშროების დეტალებზე ვისაუბრებდეთ, რამდენიმე სიტყვა ქართული მხარისა და "გაზპრომის" მოლაპარაკებების იმ პერიპეტიებზე, რომელიც გასულ კვირას განვითარდა.*

***საინტერესო დეტალი:*** მაშინ, როცა საქართველოს მხარე თბილისის პრემიერის, ქურხულის სახით, მოლაპარაკებების წარმატებებზე საუბრობდა და მანამდე, ვიდრე მინისტრი გილაური სამშობლოს დაუბრუნდებოდა, სადაც უკვე აეროპორტში ელოდნენ ჟურნალისტები, რუსულმა კომპანია "გაზპრომმა" საკუთარ ვებ-საიტზე გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 2006 წლიდან საქართველო ბუნებრივ აირს ევროპული ფასებით მიიღებს.

სხვათა შორის, ეს უკვე, მინიმუმ, მეორე შემთხვევაა, როცა რუსული "გაზპრომი" საქართველოსთვის არასახარბიელო შეთანხმების დეტალებს თავად ახმაურებს და ქართულ მხარეს საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აგდებს. მსგავსი "სიურპრიზი" "გაზპრომმა", თავის დროზე, ედუარდ შევარდნაძის მთავარობას გაუკეთა, როცა მაგისტრალური გაზსადენების გრძელვადიანი იჯარით აღების პერსპექტივის შესახებ მოსალოდნელი შეთანხმება "დაკიდა" საკუთარ საიტზე. მაშინ "გაზპრომის" ამ ნაბიჯს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ აგორებული პოლიტიკური სკანდალი და შეთანხმების ჩაშლა მოჰყვა.

***საინტერესო დეტალი:*** მიუხედავად "გაზპრომის" მიერ გავრცელებული ინფორმაციისა, თბილისში ჩამობრუნებული მინისტრი გილაური რუსული გაზის გაძვირების ფაქტს "ბოლომდე" არ ადასტურებდა. აეროპორტშივე გილაური აცხადებდა, რომ "გაზპრომთან" მოლაპარაკებები მხოლოდ ახლა დაიწყო და, შესაბამისად, ჯერ ფასის ზრდაზე საუბარი ნაადრევია. მოლაპარაკებების დაუსრულებლობაზე საუბრობდა იმავე დღეს პრემიერი ნოღაიდელიც, რომელიც ამბობდა, რომ საუბრები გაზის გაძვირებასთან დაკავშირებით გადაჭარბებულია. თუმცა, საბოლოო ჯამში, 2006 წლიდან ბუნებრივ აირს საქართველოს რომ გაუძვირებენ, ამის აღიარება საქართველოს მაინც მოუხდა. ერთადერთი, რაც საბოლოოდ გაურკვეველია, მაინც რამდენით - ორჯერ, ანუ დაახლოებით 110 დოლარამდე 1000 კუბურ მეტრზე, თუ 20 აშშ დოლარით, რის "მიღწევასაც" საქართველოს ხელისუფლება ცდილობს.

***"გაზპრომის" ვერსია:* "რუსულმა მხარემ მინისტრი გილაური საქმის კურსში ჩააყენა იმასთან დაკავშირებით, რომ 2006 წლიდან "გაზპრომი" საქართველოს ბუნებრივ აირს მიაწოდებს საბაზრო, ევროპულის შესაბამის ფასებში - ტრანსპორტირების ფასის გათვალისწინებით. სომხეთში გაზის ტრანსპორტირების საფასურის გადახდა მოხდება ფულადი სახსრებით. ტრანსპორტირების ფასი განისაზღვრება, ასევე, საერთაშორისო სტანდარტით.**

**გარდა ამისა, "გაზპრომის" მხარემ ქართული მხარის ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ბუნებრივი აირის მიმდინარე დავალიანება, რომელიც, სანქციების ჩათვლით, 12 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, 2006 წლის 1 იანვრამდე უნდა დაიფაროს...**

**შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ 19 სექტემბრისთვის ქართული მხარე "გაზპრომში" წარადგენს რესპუბლიკაში გაზის მოხმარების 10 წლის ბალანსს, მიმდინარე დავალიანების დაფარვის გრაფიკს და წინადადებებს "გაზპრომის" მონაწილეობასთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიაზე "გაზოენერგეტიკულ" პროექტებში."**

***საინტერესო დეტალი:*** გაზის საფასურის მოსალოდნელ ზრდასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟის ფონზე ამ დღეებში აქცენტები არც ხელისუფლების, არც მედიის და არც ენერგოექსპერტების მიერ არ გაკეთებულა აქცენტები გაზპრომის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ბოლო პუნქტზე, რომელიც ეხება **"წინადადებებს "გაზპრომის" მონაწილეობასთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიაზე "გაზოენერგეტიკულ" პროექტებში."**

არადა, სავარაუდოა, რომ სწორედ აღნიშნული "წინადადებები" გახლავთ ვაჭრობის ის მთავარი ობიექტები, რომელთა მიხედვითაც უნდა გადაწყდეს უახლოეს პერიოდში საქართველოსთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება.

სწორედ ამიტომ, "გაზპრომი" პირდაპირ არ ასახელებს საქართველოსთვის მოსაწოდებელი ბუნებრივი აირის საფასურს, თუმცა აქვე კეთდება განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ 2006 წლიდან გაზი გაუძვირდება სომხეთსაც (ამით რუსეთს სატარიფო გადაწყვეტილებისთვის პოლიტიკური სარჩულის "გამოცლა" სურს). ცნობილია ისიც, რომ ევროპისთვის გაზის საფასური 110 აშშ დოლარს აღწევს 1000 კუბურ მეტრზე. სხვათა შორის, თუ პოლიტიკურ სარჩულს მართლაც გამოვრიცხავთ (რაც, რა თქმა უნდა, არასწორი იქნება, რის არგუმენტადაც თუნდაც ისიც კმარა, რომ დღემდე სომხეთი ბუნებრივ აირს 45 აშშ დოლარად იღებს, მაშინ, როცა საქართველოსთვის მისი ფასი 62,5 აშშ დოლარია, ბელორუსისთვის კი გაზის ფასი მომავალშიც არ შეიცვლება...) და, მიუხედავად ყველაფრისა, საკითხს წმინდად ეკონომიკური კუთხით მივუდგებით, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტების ინფორმაციით, სწორედ ზემოთ მოხსენიებული "ტრანსპორტირების" შედარებითი სიიაფე საქართველოსთვის რუსულ გაზს უფრო დაბალფასიანად აქცევს, ვიდრე - ევროპისთვის ან იგივე სომხეთისთვის, რომელსაც ბუნებრივი აირი საქართველოს გავლით მიეწოდება. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ რუსული გაზი საქართველოსთვის, "სულ რაღაც", 20 აშშ დოლარით გაძვირდება და არა მეტით.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, არ შეიძლება არც პოლიტიკური არგუმენტების გამორიცხვა და, ამასთან - არც იმ "სავაჭრო ობიექტების", რომელთა შესახებაც "წინადადებების წარმოდგენას" საქართველოს მხარეს "გაზპრომი" ღიად სთხოვს.

ექსპერტები "გაზპრომის" დაინტერესების მთავარ საგნად, ცხადია, ისევ და ისევ გაზსადენებს, "თბილგაზს", "თბილსრესის" ბლოკებს ასახელებენ, ანუ - იმ ენერგოობიექტებს, რომელთა გაკონტროლებაც, როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, "გაზპრომს", ენერგეტიკულთან ერთად, სერიოზულ პოლიტიკურ ბერკეტებსაც აძლევს. რუსეთის სახელმწიფო კომპანიის მიერ აღნიშნული ბერკეტების ფლობა საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისთვის დამღუპველი რომ შეიძლება აღმოჩნდეს, ამის შესახებ უკვე არაერთხელ გვითქვამს და დღეს დაწვრილებით აღარ შევჩერდებით.

ერთის თქმა კი ცალსახად შეიძლება - საქართველოს ხელისუფლების ზოგადი განცხადებები "მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ", მათ მიერ მოლაპარაკების საგნების დაუზუსტებლობა და ზემოთ მოხსენიებულ პუნქტზე აქცენტის განსაკუთრებულად შეუჩერებლობა ნათელყოფს, რომ ქვეყანა კვლავ სერიოზული არჩევანის წინაშე დგება - სასწორზე ისევ დევს, ერთის მხრივ, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება, მეორეს მხრივ კი, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, სამომხმარებლო ტარიფების მოსალოდნელი ზრდა და ქვეყნის სავაჭრო ბალანსის კიდევ უფრო გაუარესება, რომლებიც საქართველოსთვის რუსული გაზის გაძვირებას აუცილებლად მოჰყვება.

***საგულისხმო სტატისტიკა:*** დღეისათვის, საქართველოსთვის ბუნებრივი აირის ძირითადი წყარო რუსეთია. ბუნებრივი აირის ბალანსი საქართველოს ენერგობალანსში დაახლოებით 24 პროცენტს შეადგენს. რუსული მხარის ინფორმაციით, 2004 წელს "გაზექსპორტმა" - "გაზპრომის შვილობილმა კომპანიამ საქართველოს 1,23 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მიაწოდა. წინასწარი ინფორმაციით, 2005 წელსაც საქართველო დაახლოებით იგივე ოდენობის, ანუ - 1,2 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მოიხმარს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს საქართველო 1000 კუბურ მეტრ გაზს რუსეთიდან 62,5 აშშ დოლარად იღებს. ეს სტატისტიკა ნათელყოფს იმ მასშტაბებს, იმ გავლენას, რომელსაც რუსული გაზის გაძვირება საქართველოს ეკონომიკაზე მოახდენს. ამიტომ, ძალიან საინტერესოა ის წინადადებები, რომელსაც 19 სექტემბერს საქართველოს ხელისუფლება "გაზპრომს" წარუდგენს (!).

***ტარიფები:*** დღეს საქართველოში არავინ უარყოფს, რომ გაზის მოსალოდნელ გაძვირებას აუცილებლად მოჰყვება სამომხმარებლო ტარიფების ზრდა ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიაზე. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ბუნებრივი აირის საფასურის 20 აშშ დოლარით გაძვირების შემთხვევაში ბუნებრივი აირის სამომხმარებლო ტარიფი, სავარაუდოდ, 6-7 თეთრით გაიზრდება. ზრდა აუცილებლად აისახება ელექტროენერგიის ტარიფზეც, რადგან "თბილსრესში", რომელზეც ქართული ენერგოწარმოების დიდი ნაწილი მოდის, საწვავად სწორედ ბუნებრივი აირი გამოიყენება. მართალია, სემეკის თავმჯდომარე ამბობს, რომ ტარიფის ზრდა გაზის საფასურის ზრდის პირდაპირპროპორციულად არ მოხდება, ანუ ელექტროენერგიის ტარიფი სულ 14 თეთრამდე გაძვირდება, თუმცა ფაქტია, რომ ნავთობის გაძვირების შედეგად ისედაც გაძვირებული ცხოვრებისა და დამძიმებულ სოციალურ ფონზე მსგავსი ცვლილება მოსახლეობას სერიოზულ დარტყმას მიაყენებს. გარდა ამისა, ბუნებრივი აირის გაძვირება სერიოზული დარტყმა იქნება ქართული წარმოებისთვის ზოგადად, რაც ასევე აისახება ქართულ ფასებზე. შესაბამისად, ეს ფაქტი კიდევ უფრო ზრდის იმ ტვირთს, რომლიც ქართულ ხელისუფლებას მოლაპარაკებების დროს სიტუაციას უმძიმებს "გაზპრომის" სასარგებლოდ. ამიტომ საკითხი უდავოდ საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და მონიტორინგს ენერგოექსპერტებისა და, ზოგადად, საზოგადოების მხრიდან, რათა პოლიტიკური და სოციალური მიზანშეწონილობის პრინციპებიდან გამომდინარე, ხელისუფლების არჩევანი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სახიფათო არ აღმოჩნდეს.

# სემეკი სატარიფო გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს

გასულ კვირას, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ "თბილსრესის" სატარიფო განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება ვერ მოახერხა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გაზის ტარიფის მოსალოდნელი ზრდა გახდა.

აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ "ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" დადგენილებაში ცვლილება ივლისში შეიტანა და ქსელში გაცემული 1 კვტ/სთ ელექტროენერგიისთვის "თბილსრესს" ტარიფი 5,517 თეთრიდან 5,325 თეთრამდე შეუმცირა. შემცირდა დადგმული სიმძლავრისთვის მისაღები ყოველთვიური თანხის მოცულობაც. განსაზღვრული 496 ათასი ლარის ნაცვლად, "თბილსრესი" ყოველთვიურად მხოლოდ 255,44 ათას ლარს იღებს. სემეკ-ის გადაწყვეტილებას მაშინვე არ დაეთანხმნენ "თბილსრესის" ხელმძღვანელები, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ შემცირებული ტარიფის პირობებში თბოელექტროსადგურს ზარალზე მუშაობა მოუწევს.

რა თქმა უნდა, ზარალის მასშტაბები გაიზრდება მას შემდეგ, რაც ბუნებრივი აირის საფასური დაუვალად მოიმატებს. ამიტომ, გასულ კვირას კომისიამ სატარიფო გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შეიკავა მანამ, სანამ "თბილსრესი" გაზის მიწოდების შესახებ ხელმოწერილ ხელშეკრულებას და ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ახალ ფასს არ წარმოადგენს.

# გაკოტრებული „აზოტი" ქართულმა კომპანიამ 20 მილიონად იყიდა

## "იტერა" სამინისტროს გადაწყვეტილებას "უსამართლობად" აფასებს

ეთერ მამულაშვილი

*ხუთთვიანი ლოდინის შემდეგ, სს "აზოტის" მფლობელის ვინაობა, როგორც იქნა, გაირკვა. ის ქართული კომპანია "ენერჯ ინვესტია", რომელიც ცნობილი რუსული ბანკის "ვნეშტორგბანკის" მხარდაჭერით მოქმედებს. "ენერჯ ინვესტი" "აზოტში" 20 მილიონ აშშ დოლარს იხდის და მომდევნო ორი წლის განამავლობაში საწარმოში 18 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებასაც საკუთარ თავზე იღებს.*

### ახალი მესაკუთრე

20 მილიონი დოლარიდან გარკვეული ნაწილი "ენერჯ ინვესტმა" საქართველოს მთავრობის ანგარიშზე უკვე გადარიცხა, დანარჩენის გადახდას კი სექტემბრის ბოლომდე გეგმავს. ამ თანხით, როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ამბობენ, "აზოტის" კრედიტორებს გაისტუმრებენ. თუმცა, ის ფაქტი, რომ 20 მილიონი დოლარი კრედიტორთა გრძელ ნუსხას სრულად ვერ დააკმაყოფილებს, ამას სამინისტროშიც აღიარებენ. არადა, კრედიტორები (მათ შორის ყველაზე მსხვილი - "იტერა") ვალიდან არც ერთი თეთრის ჩამოწერას არ აპირებენ.

"აზოტის" ახალი მფლობელი საწარმოში დასაქმებულთა სამუშაო ადგილების შენარჩუნებასა და მომდევნო სამი წლის განმავლობაში მათი სახელფასო ფონდის 10 პროცენტით გაზრდის პირობას იძლევა. როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დამენია აცხადებს, სამომავლოდ "ენერჯი ინვესტი" ახალი პროდუქციის გამოშვებასაც აპირებს, რისთვისაც ის დამატებით 400-500 მილიონი დოლარის ინვესტიციას ჩადებს. თუმცა, მისივე თქმით, ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

სხვათა შორის, სს "აზოტი" გაკოტრების რეჟიმში იმყოფებოდა, რომ ის "ენერჯ ინვესტმა" იყიდა.

### "უსამართლო არჩევანი"

ივნისში, როცა ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სს "აზოტზე", პრივატიზაციის მიზნით, ინტერესთა გამოხატულების განაცხადების მიღება დაასრულა, ექსპერტები ვარუდობდნენ, რომ შეიძლებოდა, საწარმოს ახალი მფლობელი მისი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კრედიტორი გამხდარიყო. მაშინ საუბარი იყო ცნობილ რუსულ კომპანია "იტერაზე", რომელიც "აზოტში" მხოლოდ 5 მილიონ აშშ დოლარს იხდიდა. მართალია, ეს ციფრი სამინისტროში წარმოდგენილ წინადადებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო, სამაგიეროდ, რუსული კომპანია ქართული მხარის მიერ დაგროვილი დავალიანებების, მათ შორის - "თბილგაზის" და "თბილსრესის" ვალების ბოლო თეთრამდე ჩამოწერის პირობას დებდა. ცნობისათვის: "იტერას" მიმართ საქართველოს დავალიანება, როგორც კომპანიის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თამაზ პატარიძემ "24 საათს" განუცხადა, 60 მილიონ აშშ დოლარამდე აღწევდა. თამაზ პატარიძე ამბობს, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო, როცა არჩევანი "იტერას" კონკურენტ "ენერჯი ინვესტზე" გააკეთა. **"ჩვენი კომპანია, ვალების ჩამოწერის გარდა, იღებდა ვალდებულებას, რომ "აზოტის" ყველა კრედიტორს, ბიუჯეტის ჩათვლით, გაისუტუმრებდა,"** - გვითხრა თამაზ პატარიძემ

სხვათა შორის, "იტერა" "აზოტის" აქციების 90 პროცენტს მიმდინარე წლის აპრილამდე ფლობდა. 2002 წელს მაშინდელმა პრეზიდენტმა, პირდაპირი მიყიდვის წესით, "აზოტი" "იტერას" მეტად სიმბოლურ ფასად - 500 ათას აშშ დოლარად გადასცა. მაშინ, რუსულ კომპანიას მომდევნო ორ წელიწადში ხელისუფლებისთვის მის მიერ წარდგენილი ბიზნეს-გეგმის სრულად განხორციელება მკაცრად დაევალა. ცოტა მოგვიანებით, "იტერას" ეს ვადა 2005 წლის მაისამდე გაუხანგრძლივდა. ვადის ამოწურვისთანავე კი, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "იტერა" ბიზნეს-გეგმის რამდენიმე პუნქტის შეუსრულებლობაში დაადანაშაულა და, ამ მიზეზით, ხუთი წლის წინ გაყიდული სახელმწიფო წილი უკან დაიბრუნა.

### "აზოტის" შესყიდვის აწ უკვე ყოფილი პრეტენდენტები

ძალიან შთამბეჭდავი და მრავალფეროვანია იმ კომპანიათა ნუსხა, რომლებიც სს "აზოტზე" პრეტენზიას აცხადებდნენ და რომლებს შორისაც საუკეთესოდ ქართული წარმოშობის კომპანია "ენერჯ ინვესტი" შეირჩა. კიდევ უფრო საინტერესოა მათ მიერ საწარმოს სანაცვლოდ შემოთავაზებული პირობები. ბრიტანული "ფრანკოილი", ყაზახური - "დალა-ტრანსი", რუსული - "სელედი", ქართული - "მუხტი", რუსული - "იტერა", ქართული - "ენერჯი ინვესტი" და ქართული საინიციატივო ჯგუფი "შეუნარჩუნეთ აზოტი საქართველოს". შვიდ კომპანიას შორის "აზოტში" ყველაზე ბევრს - 100 მილიონ აშშ დოლარს ეს უკანასკნელი იხდიდა და დამატებით საწარმოში რამდენიმემილიონიანი ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებასაც იღებდა. **"ამ ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა სათანადო ფინანსური გარანტიები, რის გამოც ჩვენ უარი ვთქვით მათ მიერ შემოთავაზებული წინადადების განხილვაზე,"** - აღნიშნა ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ კახა დამენიამ "24 საათთან" საუბრის დროს.

ბრიტანული კომპანია კი, რომლის სათავო ოფისი ლონდონშია განთავსებული, საწარმოში 120 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის ჩადების პირობას დებდა. შპს "მუხტი" მზად იყო, "აზოტში" 10 მილიონი აშშ დოლარი გადაეხადა, ხოლო "სელედი" მხოლოდ 6 მილიონის გადახდას აპირებდა. კიდევ უფრო ცოტას - 1 მილიონ დოლარს იმეტებდა "აზოტში" ყაზახური კომპანია.

### რას წარმოადგენს აზოტი?

"აზოტის" საწესდებო კაპიტალმა, ბოლო მონაცემებით, 27 755 160 აშშ დოლარი შეადგინა. საწარმო 196 ჰექტარ მიწის ფართზეა განლაგებული. ამ დროისთვის, სს "აზოტში" დასაქმებულთა რაოდენობა 3 ათასს ოდნავ აღემატება, რომელთა საშუალო ხელფასიც 250-300 ლარამდე მერყეობს.

საწარმო, ბოლო რამდენიმე წელია, მუშაობას ზარალით ასრულებს. შარშან მისმა ზარალმა 32 მილიონ ლარს გადააჭარბა. 2004 წელს საწარმოს შემოსავლებმა 37 მილიონ 500 ათასი ლარი შეადგინა, ხარჯებმა კი 70 მილიონს მიაღწია, აქედან, 5 მილიონზე მეტი ადმინისტრაციულ ხარჯებზე მოდიოდა.

გასული წლის 1 იანვრის მდგომარეობით, "აზოტს" 131 მილიონლარიანი კრედიტორული დავალიანება გააჩნდა, თუმცა, სავარაუდოა, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ეს ციფრი გაიზრდებოდა. გაკოტრების რეჟიმში "აზოტის" საგადასახადო ვალდებულებები 24 მილიონს ოდნავ აჭარბებდა. საწარმოს ბალანსზე ირიცხება 15 მილიონლარიანი დებიტორული დავალიანებაც.

"აზოტის" მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, საქართველოს გარდა, მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ბაზრებზე ხდება.

ერთი საინტერესო დეტალი: დღემდე "აზოტის" ბალანსზე რამდენიმე არაპროფილური ობიექტი ირიცხება, რომლის შენახვა ამ საწარმოს წლიდან წლამდე სულ უფრო ძვირი უჯდება. მაგალითად, 2003 წელს ქიმიკოსთა კულტურის სახლის შენახვაზე "აზოტმა" თითქმის 35 ათასი ლარი დახარჯა, ურეკში მდებარე პანსიონატ "მაგნეტიტზე" - 77 ათას ლარზე მეტი; ერთ წელიწადში 320 ათას ლარზე მეტი დაეხარჯა მის ბალანსზე მყოფ სპორტულ კომპლექსზე. მთლიანობაში, ამ თანხამ 459 ათასი ლარი შეადგინა, მაშინ, როდესაც ხსენებული ობიექტებიდან მიღებულმა მოგებამ 130 ათას ლარზე ნაკლები შეადგინა.

# მისია შესრულებულია - ერა დასრულდა

### ღაზას სექტორის 38-წლიანი ოკუპაცია დამთავრდა

*ოკუპაციიდან 38 წლის შემდეგ ისრაელის უკანასკნელმა ჯარისკაცმა დატოვა ღაზას სექტორი. პალესტინის ავტონომიის უსაფრთხოების ძალებმა უკვე დაიკავეს ყოფილი ებრაული დასახლებები. გუშინ პალესტინის ისტორიაში სრული თვითმმართველობისკენ მიმავალი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაიწყო. პარალელურად, დასრულდა არიელ შარონის ცალმხრივი დაშორიშორების გეგმა. ამ გეგმამ "აღთქმულ მიწაზე" მშვიდობა უნდა მოიტანოს. თუმცა, პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შენება გუშინაც ცეცხლისა და ნგრევის ფონზე მიმდინარეობდა - მოზეიმე პალესტინელები დაცარიელებულ სინაგოგებსა და სხვა შენობებს წვავდნენ.*



*ღაზას სექტორში "ოკუპაციის არც ერთი ძეგლი არ დარჩება*

პალესტინის პოლიციისა და სხვა ძალოვანი სტრუქტურების დანაყოფები გუშინ დილით დაცარიელებულ ებრაულ დასახლებებში შევიდნენ. ებრაული გაზეთის "ჰაარეცი"-ს თქმით, სამხედროების კვალდაკვალ დასახლებებში ასობით მოზეიმე პალესტინელი შევიდა საყვირებისა და ფეიერვერკების თანხლებით.

შეგახსენებთ, არიელ შარონის დაშორიშორების გეგმის თანახმად, ისრაელს ღაზას სექტორში 21 ებრაული დასახლება უნდა გაეუქმებინა, ხოლო დასავლეთ სანაპიროზე - ოთხი.

პალესტინის ტერიტორიიდან ებრაელთა ევაკუაცია საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობდა. ზოგიერთ დასახლებაში ისრაელის არმიას ხალხის ძალის გამოყენებით გამოყვანაც კი დასჭირდა. წინააღმდეგობის მიუხედავად, გეგმა დროზე ადრე შესრულდა - უკანასკნელი ვადა 15 სექტემბერი იყო.

ისრაელმა ღაზას სექტორიდან ჯარების გაყვანა გუშინ ოფიციალურად დაასრულა. ადგილობრივი დროით, დილის 07.00 საათზე ღაზას სექტორი უკანასკნელმა ებრაელმა სამხედრო მოსამსახურემ დატოვა. ღაზას სექტორის ტერიტორიაზე ისრაელის ჯარების დისლოკაციის 38-წლიანი ისტორიის დასრულება არმიის გენერალს ავივ კოხავის ჰქონდა დავალებული.

ჯარების გაყვანისადმი მიძღვნილ ხანმოკლე ცერემონიაზე გამოსვლისას კოხავიმ განაცხადა, რომ ებრაელები ღაზას სექტორიდან თავაწეულები მიდიან - **"მისია შესრულებულია და ერა დასრულდა. ამიერიდან ყველაფერზე, რაც ღაზას სექტორში მოხდება, პალესტინის ხელისუფლებაა პასუხისმგებელი. ჩვენ კი კვლავ დავიცავთ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას",** - განაცხადა კოხავიმ.

მას შემდეგ, რაც ისრაელის არმიის ჯავშანტექნიკის უკანასკნელმა კოლონამ ღაზას სექტორის საზღვარი გადაკვეთა, იქ მდებარე გამშვები პუნქტი კისიფუმი სამხედროებმა ბეტონის ბლოკებით ჩახერგეს, ხოლო დივიზია "ღაზა"-ს შტაბის ფლაგშტოკიდან მოხსნილი ისრაელის დროშა საზღვრის მეორე მხარეზე აღმართეს.

ისრაელის ჯარების გასვლის შემდეგ 21 ყოფილ ებრაულ დასახლებაში პალესტინური დროშები აღიმართა.

ამრიგად, ისრაელის ჯარების გასვლამ ღაზას სექტორიდან უმსხვერპლოდ ჩაიარა. თუმცა, გუშინ ცეცხლის ალი მაინც ანათებდა ყოფილ ებრაულ დასახლებებს. როგორც სააგენტო "ფრანს-პრესი" იუწყება, ებრაელების მიერ დატოვებულ ნეცარიმის დასახლებაში ექსტრემისტებმა სინაგოგას და სხვა შენობებს ცეცხლი წაუკიდეს; იწვოდა სინაგოგები სხვა დასახლებებშიც.

25 სინაგოგის ბედის შესახებ კამათი ისრაელში დიდხანს არ ცხრებოდა. სინაგოგების დანგრევის წინააღმდეგ ებრაელთა რელიგიური ლიდერები გამოდიოდნენ. **"ჩვენ, უბრალოდ, არ შეგვეძლო სინაგოგებზე ხელის აღმართვა. გაფიქრებაც კი საზარელი იყო, რომ ისრაელის არმია მათ დაანგრევდა",** - განაცხადა ისრაელის მთავრობის სპიკერმა მარკ რეგევმა.

თავის მხრივ, პალესტინის ხელისუფლებამ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სინაგოგები ებრაელებმა თავად არ დაანგრიეს. პალესტინელთა თქმით, ისრაელის ხელისუფლება მათ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. **"დასახლებების გაყვანისას ისრაელი ქვას ქვაზე არ ტოვებს, რათა შენობები პალესტინელებმა არ გამოიყენონ,** - ამბობს პალესტინის საგარეო საქმეთა მინისტრი ნასერ ალ-კიდვა, - **ამავდროულად, მათ უნდათ, რომ ჩვენ ვუპატრონოთ უკანონოდ აშენებულ საკულტო ნაგებობს. ეს ხომ აბსურდია! ეს ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია".**

ასეთი განწყობის მიუხედავად, პალესტინის უშიშროების ძალებმა თავდაპირველად მაინც სცადეს ებრაული სალოცავების დაცვა, მაგრამ, როგორც ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, ამ მცდელობამ შედეგი არ გამოიღო.

ჭოჭმანის მიუხედავად, რამალაში მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ყოფილ ებრაულ დასახლებებში ყველა სინაგოგას აიღებენ. გარდა ამისა, დაინგრევა სხვა შენობებიც. პალესტინის ავტონომიის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თავფიქ აბუ ჰუსას თქმით, **ღაზას სექტორში "ოკუპაციის არც ერთი ძეგლი არ დარჩება"**. ერთადერთი, რისი განადგურებაც პალესტინელებს ენანებათ, ებრაელთა მიერ დატოვებული სათბურებია.

*24 საათი*

# ბელფასტში პროტესტანტებსა და პოლიციას შორის შეტაკებები გრძელდება

პირველი გვერდიდან

თუმცა, ამჯერადაც პროტესტანტ დემონსტრანტებს ამ მარშრუტით გავლა აეკრძალათ. ამ მიზეზით, ქალაქის სხვადასხვა წერტილში მასიური არეულობა დაიწყო. როგორც პოლიცია აცხადებს, არეულობა აქციის ორგანიზატორების მხრიდან წინასწარ იყო ჩაფიქრებული.

ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობა შეტაკებების ინიციატორობაში ორგანიზაცია "ორანჟისტების ორდენს" ადანაშაულებს. ეს ექსტრემისტული პროტესტანტული დაჯგუფება ოლსტერში ბრიტანეთის პირდაპირი მმართველობის დამყარების მომხრეა და ყოველწლიურად აღნიშნავს პროტესტანტი პრინცის ვილჰელმ მესამის მიერ კათოლიკე იაკობ სტიუარტის ჯარების დამარცხებას.

დემონსტრანტების და პოლიციელების შეტაკებები კვლავ გრძელდება. გაჩნდა საშიშროება, რომ არეულობა ჩრდილოეთ ირლანდიის სხვა რაიონებსაც მოედება. წესრიგის დასამყარებლად და არეულობის შედეგების თავიდან ასაცილებლად ჩრდილოეთ ირლანდიელი სამართალდამცავები გაძლიერებულ ზომებს იყენებენ.

*24 საათი*

# ანკარა - პარიზი-ლონდონის მოლაპარაკებათა თემა

ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით ოფიციალურმა პარიზმა და ლონდონმა კომპრომისი გამონახეს. ევროპელი გრანდების შეთანხმების თანახმად, თურქეთის გაწევრიანების საკითხის გარშემო მოლაპარაკებები, გეგმისამებრ, 3 კვირის შემდეგ დაიწყება.

საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის შეთანხმებისამებრ, თურქეთის გაწევრიანების საკითხის დასაწყებად ევროკავშირის 25 წევრმა-ქვეყანამ უნდა განაცხადოს მზადყოფნის შესახებ თანხმობა. ჯერჯერობით კი თურქეთს, თავის მხრივ, არ უღიარებია ევროკავშირის წევრი კვიპროსი. სწორედ ეს საკითხია, რაც ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს აიძულებს, თავი შეიკავონ თურქეთის ინტეგრაციის პერსპექტივებზე საუბრისაგან.

თუმცა, განსხვავებული დამოკიდებულება ევროკავშირის სახელმწიფოების მიდგომებს შორის თურქეთისადმი უდავოდ შესამჩნევია. ავსტრია თურქეთის სრულ ინტეგრაციას კავშირში მისთვის პრივილეგირებული პარტნიორობის შეთავაზებას ამჯობინებს. ოფიციალური ლონდონი კი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა მოლაპარაკებები გეგმის მიხედვით ანუ 3 ოქტომბერს დაიწყოს.

ანალიტიკოსთა აზრით, თეორიულად, ევროკავშირის ნებისმიერ წევრს შეუძლია მოლაპარაკებების დაწყების გადავადება, მიუხედავად უკვე მიღწეული შედეგებისა.

*24 საათი*


USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

## USAID-ის კავკასიის მისია საქართველოში აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე: პროექტის მართვის სპეციალისტი

### პოლიტიკის, რეგულირებისა და ადმინისტრირების რეფორმა
### ვაკანსია N 114-05-09

ძირითადი ფუნქციები: ვაკანსიას აცხადებს USAID-ს კავკასიის მისიის საქართველოს ოფისის ეკონომიკური განვითარების განყოფილება. ამ თანამდებობაზე დანიშნული პირის უპირველესი მოვალეობაა მართოს 13 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ოთხწლიანი პროგრამის მართვა, რომელიც განხორციელდება ბიზნეს-გარემოს რეგულირებისა და რეფორმის მიზნით. შერჩეული კანდიდატი უნდა ფლობდეს ძლიერ ანალიტიკურ, მენეჯერისა და კარგ საკომუნიკაციო უნარჩვევებს. მას აგრეთვე უნდა შესწევდეს უნარი უხელმძღვანელოს და სწორი მიმართულება მისცეს ტექნიკურ დახმარებას, სწავლებასა და ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით ჩატარებულ სამუშაოებს, რათა წარმატებით განხორციელდეს პროგრამით დასახული მიზნები. კანდიდატმა უნდა დაამყაროს მყარი და ნაყოფიერი ურთიერთობა საქართველოს მთავრობის მაღალი ეშელონების, აგრეთვე კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენელ ოფიციალურ პირებთან.

თანამდებობის რანგი: ამ თანამდებობის ზღვრული რანგი არის FFSNN-11 საწყისი ხელფასის მოცულობა განისაზღვრება წინა ხელფასის, კვალიფიკაციის დონისა და სამუშაო გამოცდილების მიხედვით. შესაძლოა შერჩეული კანდიდატი აყვანილ იქნეს FSNN-11-ზე დაბალ რანგზე, საჭირო გამოცდილების და კვალიფიკაციის სრულ დაუფლებამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: კანდიდატს მოეთხოვება უმაღლესი განათლების დიპლომი ბიზნეს ან საჯარო ადმინისტრირების, ეკონომიკის, ფინანსების, საჯარო პოლიტიკის, სამართლის ან სხვა მომიჯნავე სფეროში, რომელიც გაცემული იქნება აკრედიტირებული უნივერსიტეტისაგან (საქართველოს, ამერიკის ან სხვა რომელიმე ქვეყნის ექვივალენტური აკრედიტაციის მქონე უნივერსიტეტი); მზარდი წამყვანი სპეციალისტის სულ მცირე ექვსწლიანი გამოცდილება, რომელიც მოითხოვს შედეგის მომტანი გადაწყვეტილებების, კომპლექსური საქმიანობების მართვის, კრიტიკული აზროვნების გამოცდილებას მარეგულირებელ, ადმინისტრაციულ, ფინანსურ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევის დროს. გამოცდილება უნდა მოიცავდეს ფართო სპექტრის მენეჯერული საქმიანობის წარმართვას (მაგ.: თვიური და წლიური გეგმების შედგენა და მიზნების დასახვა, საშტატო ერთეულების გაკონტროლება და განვითარება, ბიუჯეტის შემუშავება და გაკონტროლება, მომსახურების გაუმჯობესება და პროგრამის განხორციელება). კანდიდატს მოეთხოვება ქართული და ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილად ფლობა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა მოაკითხონ USAID-ს კავკასიის მისიის საქართველოს ოფისს, მისამართზე - თელავის ქ. N20, სასტუმრო შერატონ მეტეხი, მე-5 სართული. სადაც მიიღებენ განაცხადის პაკეტს, რომელიც მოიცავს ამ თანამდებობის დეტალურ აღწერილობას, სამუშაოდ აყვანის განაცხადის ფორმას, და დეტალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

შევსებული განაცხადის ფორმა, თანდართული CV, დალუქული კონვერტით უნდა ჩაბარებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 2005 წლის 23 სექტემბრის საღამოს 6 საათამდე. დაგვიანებით შემოტანილი განაცხადის ფორმები არ მიიღება.

ჩვენ დავუკავშირდებით მხოლოდ გადარჩეულ კანდიდატებს. წინასწარი სატელეფონო ზარები ან პირადი შეხვედრები დაუშვებელია.


# დემოკრატია მერე მოდის

გვიდო თაბელინი
*ბოკონის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი*

დემოკრატია თანდათან მთელ მსოფლიოში იკიდებს ფეხს. ახლო აღმოსავლეთისა თუ ლათინური ამერიკის, ასევე, აზიის მრავალი ქვეყნის ავტორიტარულ რეჟიმებს მმართველობის უფრო დემოკრატიული კურსისკენ აქვთ აღებული გეზი, ზოგერთი კი უკვე იქცა ჩამოყალიბებულ დემოკრატიად. აშშ-ს ადმინისტრაციას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, განვითარებად ქვეყნებში პოლიტიკური თავისუფლების გაძლიერებას შეუწყოს ხელი. მართლაც, დემოკრატიის გავრცელება ამერიკის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებად იქცა.

ცხადია, დემოკრატიის დღევანდელი ტალღა მხოლოდ სიხარულის საფუძველს იძლევა. მიზეზი ის გახლავთ, რომ დემოკრატია ნაკლებად ასოცირდება უსამართლობასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასთან, მეტად კი - საზოგადოებრივ და პოლიტიკურ თავისუფლებასთან, ასევე, საკუთარი მოქალაქეების დამცველ მთავრობებთან. მაგრამ, საინტერესოა, რამდენად მნიშვნელოვანია დემოკრატია ეკონომიკური წარმატების მისაღწევად?

ემპირიულ ფაქტებს თუ დავეყრდნობით, გამოდის, რომ არცთუ მნიშვნელოვანი ყოფილა. ეს დასკვნა შეიძლება გასაკვირიც კი იყოს. ბოლოს და ბოლოს, უდავო ჭეშმარიტებად ვერ ჩაითვლება ის ფაქტი, რომ, პრაქტიკულად, ყველა მდიდარ სახელმწიფოს დემოკრატიული მთავრობა ჰყავს, ხოლო ღარიბ ქვეყნებს (ძირითადად, აფრიკის სახელმწიფოებს) არადემოკრატიული. მიუხედავად ამისა, მთელ მსოფლიოში დემოკრატიული მმართველობა პროპორციულად უკავშირდება მაღალ შემოსავლებს ერთ სულ მოსახლეზე.

მაგრამ, ეს შესაბამისობა ასეთი თვალშისაცემი აღარ იქნება, თუ დაკვირვებისას ყურადღებას გავამახვილებთ დროის და არა სივრცის ფაქტორზე. იმ ქვეყნებში, რომლებმაც დემოკრატიული გზა აირჩიეს, პოლიტიკური ტრანსფორმაციის შემდეგ ეკონომიკური ზრდა ნელი ტემპით მიმდინარეობს; ხოლო იქ, სადაც დემოკრატიამ კრახი განიცადა და ავტორიტარული რეჟიმი დაბრუნდა, საშუალო მაჩვენებლის გათვალისწინებით, ეკონომიკა ისევე ფუნქციონირებს, როგორც ადრე. გამოდის, რომ არაფერი შეცვლილა.

არსებული პოზიტიური კორელაცია შემოსავალსა და დემოკრატიას შორის შეიძლება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამსახურება იყოს. მაგალითად, შესაძლებელია, დემოკრატია შენარჩუნდეს მაშინ, თუ ქვეყანა ადრინდელზე მეტად გამდიდრდება, თუნდაც - განსაკუთრებული ისტორიული ან კულტურული გარემოებების შედეგად; ზოგიერთი საზოგადოება ხომ უფრო მეტადაა წარმატებული, მაგალითად, ეკონომიკური თვალსაზრისით; ასევე - თუ ქვეყანა ვითარდება, მხარს უჭერს დემოკრატიულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს.

ქვეყნებს შორის შემოსავლისა და დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულების მიზეზი რაც უნდა იყოს, ის არ უნდა აგვერიოს მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. დემოკრატიულ მმართველობას, როგორც ჩანს, დიდი მნიშვნელობა არ აქვს ეკონომიკური წარმატების მიღსაწევად.

რა თქმა უნდა, დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესი სხვადასხვა სახისაა და ამიტომაც, ყველას "ერთ ქვაბში მოხარშვა", ერთი კუთხით განხილვა შეცდომა იქნებოდა.

პრაქტიკაში მნიშვნელოვან განსხვავებას იძლევა ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ურთიერთქმედება. ღია ეკონომიკურ გარემოში წარმოშობილი დემოკრატია კარგადფუნქციონირებადი საბაზრო სისტემით, მრავალრიცხოვანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით და საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი წილით, პირველ რიგში, ეკონომიკური ლიბერალიზმის კონსოლიდაციას გამოიწვევს, მოლოდინს უფრო სტაბილურს გახდის, შესაბამისად, მიიზიდავს დამატებით ინვესტიციებს, რაც, თავის მხრივ, სწრაფ ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს; და პირიქით - თუ ეკონომიკას მკაცრად აკონტროლებს სახელმწიფო, არსებობს იმპორტისა და საზღვარგარეთ კაპიტალის გატანის საწინააღმდეგო პროტექციონისტული ბარიერები ან უცხოური ვალუტის მიზიდვის მთავარი წყარო მხოლოდ გამოფიტვის პირას მყოფი რესურსებია, მაშინ ქვეყნის დემოკრატიზაციას პოპულიზმი და სიმდიდრის გადანაწილებისთვის ბრძოლა უდავოდ შეუქმნის ბარიერს, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ ზრდას შეაფერხებს.

ემპირიული ფაქტები ამყარებს მოსაზრებას, რომელთა მიხედვითაც, პოლიტიკური ტრანზიციის დროს დემოკრატიის წარმატება ეკონომიკური სისტემის ლიაობაზეა დამოკიდებული. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დემოკრატიული ტრანსფორმაციების ყველაზე წარმატებულ ეპიზოდებს წინ უსწრებდა ფართო ეკონომიკური რეფორმები, რომლებმაც გააფართოეს ბაზრის მასშტაბები და დააწინაურეს საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესი. მაგალითებად გამოდგება - ჩილე და სამხრეთ კორეა 1980-იანი წლების მიწურულს, ასევე - მექსიკა 1990-იანი წლების შუა პერიოდში.

და პირიქით, როცა დემოკრატიული ტრანსფორმაცია დახურულ ეკონომიკურ გარემოში ხორციელდებოდა, სიტუაცია გაცილებით რთულადაც იყო. ეს ეხება დემოკრატიზაციის პროცესს 1980-იანი წლების შუაში ლათინურ ამერიკასა და ფილიპინებზე, ასევე, 1980 წლების დასაწყისში თურქეთში და 1990 წელს ნეპალში. ამ სცენარის მუშაობის შესანიშნავი მაგალითია ჩინეთსა და რუსეთს შორის უზარმაზარი განსხვავებაც.

თავდაპირველად, ჩინეთმა თავისი ეკონომიკური სისტემის კარი გაუღო დანარჩენ მსოფლიოს და პოლიტიკური რეფორმის განხორციელებაზე ფიქრი მხოლოდ ახლა დაიწყო. მისგან განსხვავებით, რუსეთმა პირდაპირ გადადგა ნაბიჯები დემოკრატიისკენ და მხოლოდ შემდეგ დაფიქრდა იმაზე, თუ როგორ შეეცვალა სოციალიზმი საბაზრო სისტემით. როგორც ჩანს, რუსეთში სხვაგვარად მოქცევა არც შეიძლებოდა. თუმცა, იმ გზამ, რომელიც ჩინეთმა აირჩია, შესაძლებელია, ქვეყანას ხანგრძლივი ეკონომიკური წარმატებები მოუტანოს.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ დემოკრატია ნაკლებმნიშვნელოვანია, მაგრამ რეფორმების თანმიმდევრობას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს წარმატებული ეკონომიკური განვითარებისთვის. მხოლოდ ღია და კარგად ფუნქციონირებადი საბაზრო სისტემის შექმნა მისცემს დემოკრატიას ხანგრძლივი კეთილდღეობის მოპოვების საშუალებას.

ამ ფენომენის მეტად მნიშვნელოვანი მიზეზი გახლავთ ის, რომ წარმატებული საბაზრო სისტემის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა, სახელმწიფომ პატივი სცეს პიროვნების ძირითად უფლებებს: კანონის უზენაესობას, კერძო საკუთრებას და სამართლიანობის უზრუნველყოფას. სწორედ ეს ფუნდამენტური უფლებებია დემოკრატიული მთავრობის სული და გული. მაგრამ, როცა საქმე ეხება ეკონომიკურ განვითარებას, მაშინ ეს ფუნდამენტური უფლებები უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე დემოკრატიის წმინდა პოლიტიკური ასპექტები - ისეთები, როგორიცაა ხმის მიცემის უფლება და ხანგრძლივი პოლიტიკური კონკურენცია.

სწორედ ასე გახდა დასავლური სამყარო დემოკრატიული მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში. თავდაპირველად ეკონომიკური ლიბერალიზმი მოვიდა, შემდეგ კი პოლიტიკური ლიბერალიზმის ჯერიც დადგა. მაგრამ, დღევანდელმა ახალგაზრდა დემოკრატიებმა ეს ყველაფერი გაცილებით სწრაფად უნდა გააკეთონ. მათთვის დიდი ფუფუნებაა, ხმის მიცემის უფლება მხოლოდ მესაკუთრეებს ან უფრო განათლებულ მოქალქეებს მიანიჭონ.

მიუხედავად ამისა, ისტორიის გაკვეთილები ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, პოლიტიკური რეფორმები უფრო წარმატებული იქნება, თუ მას წინ გაუსწრებს ეკონომიკური რეფორმები. დაჟინებით უნდა ვამტკიცოთ, რომ ეგვიპტე ან პაკისტანი ვალდებულნი არიან, გააუმჯობესონ საბაზრო სისტემა, შექმნან სამართლებრივი სახელმწიფოები და გახსნან თავიანთი ეკონომიკა საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობისთვის; ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია თავისუფალი არჩევნებისა და ნამდვილი პოლიტიკური კონკურენციის დამკვიდრება, მაგრამ ის ეკონომიკურ რეფორმებს წინ კი არ უნდა უსწრებდეს, არამედ ამას უნდა მოჰყვეს.

*პროექტი სინდიკატი, 2005*



დავით კოვზირიძის სვეტი

# აზრზე მომყვანი ქარიშხალი

დავიწყოთ იმით, რომ დანიის ნაკრები დღეს იდეალურ ფორმაშია და რამე რომ იყოს, ნებისმიერ დინოზავრ მოწინააღმდეგეს დედას უტირებს, ზღაპრული შემადგენლობის ბრაზილიასაც კი. სამწუხარო ორი რამაა. პირველი - სკანდინავიური ქარიშხალი მაინცდამაინც ჩვენ დაგვატყდა თავს მაშინ, როცა ყველაზე დიდი სიჩქარე ჰქონდა აკრეფილი. ეს ქარიშხალი ცოტა ხნის წინ ამოვარდა, თერთმეტი ინგლისელი აბზრიალა და ათ ქართველს რას უზამდა, ხომ წარმოგიდგენიათ. ათ ქართველს, რომელთაგან ერთი-ორის გამოკლებით ყველა გაშეშებული იყო. მეორე - ფანტასტიკური, არანორმალურად მძლავრი და ლამაზი დანია შეიძლება გერმანიაში ვერ მოხვდეს. არადა, უკრაინას, თურქეთსა და საბერძნეთს, ერთად აღებულს სჯობს.

გავაგრძელოთ ამით - როგორ შეიძლება ერთმა გუნდმა მეორესთან 1:6 წააგოს თუნდაც მაშინ, როცა მას გამარჯვება პრაქტიკულ ამბავში არ აინტერესებს? ერთი შეხედვით, მარტივი საპასუხოა - ეს ხდება მაშინ, როდესაც გუნდის წევრთა უმეტესობას თავმოყვარეობა საერთოდ დაკარგული აქვს. და როცა ასეა, მაშინ პრობლემაც მარტივად უნდა გადაიჭრას - გუნდი სასწრაფოდ და აუცილებლად უნდა დატოვონ უთავმოყვაროებმა. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ სად თამაშობს, ვინ რამდენ ფულს შოულობს, ვის როგორი ვარცხნილობა აქვს და ვინ სად როგორ იქცევა.

**საქართველოს ნაკრებში არაფერი ესაქმებათ ფეხბურთელებს, რომლებსაც გუნდისთვის სარგებელი არ ან ვერ მოაქვთ, რომლებიც ეროვნულ გუნდში იძულებით, პირადი კარიერის მოსაწყობად ჩამოდიან და აქ თამაშისგან სიამოვნებას ვერ იღებენ, რადგან სამშობლო ცალ ფეხზე ჰკიდიათ!**

ნაღდად არ მინდა პანიკის ატეხვა საჩოგბურთო ანგარიშის გამო. ზემოთ ვახსენე, რომ მსგავს სირცხვილამდე იმავე სტადიონზე სულ ცოტა დააკლდათ სოკერის მშობლებს, რომლებმაც მერე ჩრდილოეთ ირლანდიაშიც ჩაისვარეს. ჩავარდნა ყველას აქვს და ჩავარდნას ყოველთვის აქვს გამართლება. ოღონდ ეს ჩავარდნა ნატურალური უნდა იყოს.

პირადად მე საბოლოოდ დავრწმუნდი ამ შემადგენლობის გაფილტვრის აუცილებლობაში. როცა მცველი მეტოქის თავდამსხმელს არ დასდევს, ნახევარმცველები არ ჩანან, კაპიტანი მხოლოდ სამკლავურით გამოირჩევა და ორმეტრიანი მეკარე "პარაშუტს" უშვებს მახვილი კუთხიდან, სხვა გზა აღარ რჩება. მაგრამ ვინ, ვინ მოვა სანაცვლოდ?

ძალიან რთული მდგომარეობაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ჰოდა, თუ არ არსებობს, მაშინ იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ მის გამოსწორებას ბევრი, ძალიან ბევრი მუშაობა და დრო ესაჭიროება. ყველამ უნდა იზრუნოს პრობლემების მოგვარებაზე - მთელმა საფეხბურთო ინდუსტრიამ, სახელმწიფომ, ჟურნალისტებმა, გულშემატკივრებმა - ყველამ, ვინც მართლა წუხს და ამ გაჭირვებას სიბინძურის სანთხევად არ იყენებს. თორემ რა გამოდის, ერთი ამბავია ატეხილი, ყველა ცალ-ცალკე ვიშვიშებს, აკადემიკოსობს, ილანძღება, იბოღმება და როცა საქმე საქმეზე მიდგება, აღარავის სურს თითის განძრევა. ლაყბობა ადვილია, საქმის კეთება კი ძნელი, მაგრამ გარდაუვალი - ქართველებმა ასეულობით წლების განმავლობაში ვერ ამოვხსენით ეს ერთუცნობიანი ამოცანა და ამიტომაც გავიტენეთ ენაგადმოგდებული უსაქმურებით.

მოდით, ამ კუთხიდან შევხედოთ რებუსს - გინახავთ საქართველოს ეროვნული გუნდის საწვრთნელი ბაზა? ეს უტიფრობის, რენეგატობის, უცოდინრობის ნაზავი, რომლის "ასაშენებლადაც" მილიონ სჩემტა დაიხარჯა და ეს "სჩემტა" მეორე მილიონს უკაკუნებს? როდესაც იქ ფეხბურთელი მიგყავს და ეუბნები - აი, ჯიგარო, ამ საღორეში იცხოვრე, ამ საძოვრებზე ივარჯიშე და მერე იტალიელებს მოუგე - ის ფეხბურთელი აუცილებლად იფიქრებს... ნუ დავაკონკრეტებთ.

მსგავსი შედარებების მოტანა გაუთავებლად შეიძლება. ბოლო-ბოლო, რაზეა ლაპარაკი, როცა ქვეყანაში ერთი ნორმალური სტადიონი არ არის, დანიაში კი, მხოლოდ იქ, სადაც ჩვენები ცხოვრობდნენ, ოთხი სტანდარტული სავარჯიშო მოედანი იყო ისეთი, ზედ დაძინება მოგინდებოდა. აღარაფერს ვამბობ მინის აურაცხელ მოედნებზე, იდეალურ პირობებზე, ბრწყინვალე ბუნებაზე.

**ჩვენ ერთი რამ არ გვესმის - ქართულ საფეხბურთო მეურნეობაში ჯერ არაფერი, საერთოდ არაფერია გაკეთებული იმისთვის, რომ წვეთი ამბიციის უფლება მაინც გვქონდეს.**

ამიტომაც გავიძახი გაუთავებლად - ჯერ უნდა ავაშენოთ კარგი სტადიონები; ბავშვთა მწვრთნელებს მივცეთ სათანადო განათლება, რათა ამ ადამიანებმა პატარა ბიჭებს იმთავითვე არ ასწავლონ ფეხბურთის დამახინჯებულად თამაში; კარგ მოედნებზე კარგი ქოუჩების მიერ აღზრდილი ბავშვები, რომლებიც ლოგიკურად პატარაობიდანვე კარგები იქნებიან, მამლუქებივით არ უნდა დავყიდოთ სამეზობლოში და თვალისჩინივით უნდა ჩავიხუტოთ გულში; სახელმწიფო აქტიურად უნდა დაეხმაროს ფეხბურთს, გულშემატკივარმა აგური არ უნდა ესროლოს სპორტსმენს, რომელსაც, ჩვენს შემთხვევაში, ვითომ ეთაყვანება, ჟურნალისტი არ უნდა ელოდოს ცუდ ამბებს იმიტომ, რომ კარგის წერა არ ეხერხება - ინტელექტი, პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმი არ ჰყოფნის.

და ასე შემდეგ. და ასე გაუთავებლად.

ყოველივე ამას კი, ვიმეორებ, დრო სჭირდება. რამდენიმე წელიწადი. კონკრეტულად რამდენი? იმაზე მეტი, ვიდრე დანგრევას მოხმარდა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შენება განადგურებაზე ბევრად ძნელია. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ნგრევამ ხუთიანზე ჩაიარა, მშენებლობაში კი ათასი პარაზიტი გიშლის ხელს.

დამთავრებით კი ამით დავამთავრებ - დანიაში თამაში წააგეს ნაკრების პირობითმა ლიდერებმა: კალაძემ, კობიაშვილმა, ცქიტიშვილმა, ასათიანმა, ლომაიამ. თუ მათ მხოლოდ ის შეუძლიათ, რაც კოპენჰაგენში ვნახეთ, მაშინ უნდა დავითხოვოთ ნაკრებიდან, რომელიც საზოგადოებრივი ტუალეტი არაა, ნებისმიერს შეეძლოს შესვლა-გამოსვლა. მით უმეტეს სასწრაფოდ უნდა გამოვემშვიდობოთ, თუ შეუძლიათ და არ აკეთებენ.

და მოვიყვანოთ ახალი თაობა, რომელსაც კარგად ეცოდინება - თუ საქართველოს სახელით საქმის კეთებისას წამით მაინც მოდუნდებიან, მომენტალურად მოუწევთ ნაკრების მაისურთან განშორება. საფეხბურთო მოედანი სუფრა არ არის, მარტო სადღეგრძელოებით ამტკიცო შენი სიყვარული და ერთგულება.

*მომავალ სამშაბათამდე*

ჩოგბურთი

# კიმ კლიისტერსი: "ასე არასოდეს მითამაშია"

ბელგიელმა ჩოგბურთელმა კიმ კლიისტერსმა აშშ-ის ღია ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ ისე კარგად, როგორც დღეს, არასოდეს უთამაშია. ფინალში ფრანგი მარი პირსის დამარცხების შემდეგ კლიისტერსმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

**- რას გააკეთებთ 2,2 მილიონი დოლარით ხელში, რომელიც აშშ-ის ღია პირველობაზე მოიგეთ?**

- ჯერ არ ვიცი. ამაზე არ მიფიქრია. ეს საკითხი ჯერჯერობით ჩემთვის ბოლო ადგილზე დგას.

**- რას გრძნობთ, თქვენ ხომ "დიდი სლემის" პირველი ტურნირი მოიგეთ?**

- როცა ჩემი კარიერის პირველ ტურნირებს ვიგებდი, ფანტასტიკური გრძნობა მეუფლებოდა, რომელიც გაჯერებული იყო იმ შეგრძნებასთან, რომ მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. მაგრამ დღევანდელი გამარჯვება ჩემთვის განსაკუთრებულია. იმის გარდა, რომ "დიდი სლემის" ტურნირი მოვიგე, ეს ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მოვახერხე, რომელიც მძიმე ტრავმით იყო გამოწვეული.

**- შარშანდელი წელი თქვენთვის უაღრესად მძიმე გამოდგა. როგორ ფიქრობთ, ამ გამარჯვებისთვის შარშანდელი გაჭირვება უნდა გადაგეტანათ?**

- ვფიქრობ, რომ ასეა. შარშანდელი წელი რომ არა, იქნებ არც ვმდგარიყავი აქ ჩემი ჯილდოთი ხელში.

**- ფინალური მატჩის რომელ ეპიზოდში იგრძენით, რომ გაიმარჯვებდით?**

- როცა ბოლო გათამაშება დასრულდა. დღეს მართლა ძალიან კარგად ვთამაშობდი. "დიდი სლემის" არც ერთ ტურნირზე ასე არ მითამაშია. ამ გამარჯვებაში დიდი როლი იმანაც შეასრულა, რომ მთლიანად აღვიდგინე თავი ვინუს უილიამსთან და მარია შარაპოვასთან შეხვედრების შემდეგ.



**- ამ ზაფხულს თქვენ დაამარცხეთ ჟიუსტინ ენინ-არდენი. ნიუ-იორკში მთავარი ფინალისკენ მიმავალ გზაზე დაამარცხეთ ვინუს უილიამსი და მარია შარაპოვა. რას ნიშნავს თქვენი დღევანდელი გამარჯვება თქვენთვის და დანარჩენებისთვის?**

- რას ნიშნავს ჩემი გამარჯვება? არ ვიცი. ალბათ, მხოლოდ იმას, რომ მე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ვარ. დღემდე ვერ დავივიწყე ის კვირები, როცა ტრავმის გამო იძულებული ვიყავი დამესვენა. მე მხოლოდ მოთმინება მმართებდა. მადლობა ღმერთს, ეს მოვახერხე - წარმატებით დავბრუნდი დიდ ჩოგბურთში. ამ საქმეში კი ძალიან დამეხმარნენ ჩემი ოჯახი და მეგობრები.

**- რა მოხდა, როცა თქვენ კორტზე მიმავალ კიბეს აუყევით? მაყურებელი რომ არა, რომლებმაც ხელი შეგაშველეს, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ აუცილებლად წაიქცეოდით...**

- განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. უბრალოდ, ყველა ეს ადამიანი ძალიან დამეხმარა. იმ მომენტში ვიგრძენი, რომ საიმედო ხელში ვარ (იცინის).

**- ვინ იყო ის ადამიანი, ვინც ტელეფონით პირველმა მოგილოცათ გამარჯვება?**

- ვერ გეტყვით, რადგან არ ვიცი. მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ჩემთან ბევრს უნდოდა ლაპარაკი. როგორც მამამ მითხრა, ფინალური მატჩის შემდეგ ჩემს ტელეფონზე 75 შეტყობინება დაფიქსირდა.

**- არ გგონიათ, რომ ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ხართ?**

- არ ვიცი. შეიძლება ამ ტურნირზე მართლაც საუკეთესო ვიყავი.

**- თქვენ თავის დროზე განაცხადეთ, რომ ორი წლის შემდეგ დიდ სპორტს დაემშვიდობებოდით. იქნებ გადაიფიქროთ?**

- არ ვიცი. ორი წელი დიდი დროა. ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს. ხომ შეიძლება რამე გაუთვალისწინებელი მოხდეს და ჩოგბურთს ორ თვეში დავემშვიდობო?

**- ამბობენ, რომ თქვენ არცთუ ურიგოდ თამაშობთ ფეხბურთს. კარიერის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელის რანგში ხომ არ მოსინჯავდით ძალებს?**

- მართლაც ძალიან მიყვარს ფეხბურთი - თამაშიც მიტაცებს და ყურებაც. ბელგიაში ქალთა ფეხბურთი არც ისე პოპულარულია, მაგრამ ეს დიდი თამაშია. ვიფიქრებ ამ იდეაზე (იცინის)...

მძლეოსნობა

# სპორტის დედოფლის ტერმინატორული ოცნება

*წლეულს თუ სადმე რამე შეჯიბრება ჩატარდა, ყველგან თავაწეულმა დატოვა სარბიელი. მეტიც, მთელი სეზონის განმავლობაში არაერთხელ გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი და ბოლოს 5,02-მეტრიან ნიშნულზეც გააქვავა თამასა. შედეგი კი ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატზე დააფიქსირა. ასე რომ, თავი მოუყარა ყველა შესაძლო ტიტულს, რომელიც მძლეოსნობაში თამაშდება. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, საუბარია რუს ჭოკით მხტომელზე ელენა ისინბაევაზე, რომელიც ალალად იმსახურებს სპორტის დედოფლის სტატუსს.*

ზედიზედ ორი წელიწადია, რაც ისინბაევას წლის საუკეთესო მძლეოსნად ასახელებენ. რუსი ჭოკით მხტომელის საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ დასახელების ამბავი კი ამ უქმეებზე მონაკოში გახდა ცნობილი, როდესაც "ოქროს ლიგის" ფინალი - მძლეოსანთა სეზონის დამაგვირგვინებელი შეჯიბრება გაიმართა.

gazeta.ru-ს მიერ ისინბაევასთვის ჩამორთმეული ექსკლუზიური ინტერვიუდან ვიგებთ სპორტის დედოფლის კინომისწრაფებების, გათხოვებისა და ჩუკოტკის გუბერნატორთან რომან აბრამოვიჩთან შესაძლო საქმიანი ურთიერთობის თაობაზე.

**- სპორტიდან წასვლის შემდეგ რა საქმეს მოკიდებთ ხელს?**

- ამაზე არ მიფიქრია. თუმცა, დიდი სიამოვნებით გავიდოდი გადასაღებ მოედანზე. მიყვარს ყველაფერი ახალი, საინტერესო. სიამოვნებით წავიდოდი ჰოლივუდში, თუ, რა თქმა უნდა, იქიდან მექნება წინადადება.

**- მელოდრამის მსახიობობა გინდათ?**

- არა, რას ამბობთ! ასეთი ფილმები არ მომწონს. დიდი სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას "ბოევიკებში", მაგალითად "ტერმინატორში". ერთი სიტყვით, მძაფრსიუჟეტიან ფილმში.

**- გგონიათ გამოგივათ?**

- რატომ არ უნდა გამომივიდეს! მეჩვენება, რომ მაყურებლის გულის დასაპყრობად მეყოფა მომხიბვლელობა.

**- "ბოევიკებში" რომ ეს არ არის საჭირო? ბოლოს რომელ ფილმს უყურეთ?**

- ამას წინათ "პოპსას" ვუცქირე. ძალიან მომეწონა. მგონია, რომ იქ ბევრი სიმართლეა. სპორტშიცაა ასეთი სიბინძურე.

**- სპორტში უნიჭობით შორს ვერ წავა კაცი. მარტო ფული ხომ არ არის საკმარისი?**

- ჰო, ასეა. მაგრამ სიბინძურე მაინც საკმარისადაა.

**- როგორ უყურებთ იმას, რომ თქვენზე ბევრს წერენ?**

- ნორმალურად. არც იმაზე ვბრაზდები, თუ რამე ისე არაა დაწერილი. რომ იცოდეთ, რამდენჯერ გამათხოვეს - მსახიობებზე, ბიზნესმენებზე და ერთ ჟურნალისტზეც კი. ძალიან სასაცილოა, მაგრამ არავისგან არაფერი მწყენია. ეს ყოველივე პოპულარობის თანამდევია.

**- და ვის გაყევით ცოლად?**

- არავის. გათხოვებას ჯერ არ ვაპირებ. ასეც კარგად ვგრძნობ თავს. თავისუფალი ვარ და უახლოეს მომავალში არაფრის შეცვლას არ ვგეგმავ.

**- კვლავაც გიყვართ სიჩქარე და დააგელვებთ საკუთარ მანქანას?**

- ჰო. ბოლოს ჩემს "პეჟოს" 220 კმ/სთ ავაწევინე.

**- რას ამბობთ? განა შეიძლება ასეთი მანქანით ასე ქროლვა?**

- შეიძლება და ამაში ახლახან დავრწმუნდი.

**- მალე იყიდით ახალ ავტომობილს? აბა, სხვა რაზე უნდა დახარჯოთ აბრამოვიჩის ფული?**

- ჰო, მართლა, ამ გახმაურებულ ფულზე მინდა ვთქვა. არავითარი ფული არ არსებობს. კონტრაქტიც კი არ არსებობს. ჩემთან ამ თემაზე არავის ულაპარაკია.

შესაბამისი საქმეები ჩემი სააგენტოს მეშვეობით ხორციელდება, მაგრამ მათ ჩემთვის ჯერ არაფერი უთქვამთ. თითქოს რაღაც ინტერესი არსებობს, მაგრამ კონკრეტული არაფერი.

**- კი მაგრამ, ცოტა არ არის? აბრამოვიჩისგან სულ რაღაც მილიონი? მას ბევრი ფული აქვს.**

- სხვის ფულს არ ვითვლი. სხვათა შორის, ერთ-ერთ გაზეთში დაწერეს, რომ მან ანგარიშზე მილიონი გადმომირიცხა. თუმცა, ანგარიშის ნომერი არ გამოუქვეყნებიათ, თორემ მის გასანაღდებლად წავიდოდი.

**- უბრალოდ, მგონი, თავის ყველაზე შემოსავლიან კომპანიას ჰყიდის. თქვენც მეტი მოითხოვეთ.**

- თუ ასეა, დე, მე მაჩუქოს ის კომპანია. მე კი ქველმოქმედებას გავწევდი.

**- მოდით, სპორტზე ვილაპარაკოთ. თითქმის ყოველ კვირას მსოფლიოს რეკორდებს ამყარებთ. სად არის ზღვარი? რამდენად მაღლა შეიძლება ახტეს ქალი?**

- მგონია, რომ 6 მეტრზე მაღლა ვერც ერთი ქალი ვერასდროს ვერ ახტება.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს თბილისში, ბარათაშვილის ქ.N4-ში მდებარე "საქმთავარენერგოს" ადმინისტრაციული შენობის ფასადის რეკონსტრუქციის (არსებული ფასადის შემინული ნაწილის წინ ვენტილირებადი ფასადის მოწყობა) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

ვენტილირებადი ფასადის ძირითადი მიზანია ჰაერის ნაკადების ცირკულაცია, შექმნილი ტემპერატურული ცვალებადობის გამო; აღნიშნული ტიპის ფასადის მოსაწყობად საჭიროა ფასადიდან დაცილებული დამოუკიდებელი მეტალის კონსტრუქციის მოწყობა, კონსტრუქციაში გამოიყენება უსაფრთხო შემინვა, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ვენტილაციისათვის ყოველ სართულზე უნდა მოეწყოს ჰაერის თავისუფალი მოდინებისა და გადინების ზონები, რის ხარჯზეც მოხდება შენობის გაგრილება;სამუშაო სივრცეების განათებულობის რეჟიმის დასაცავად გამოყენებულ უნდა იქნას არანაკლებ 70% შუქგამტარობის მინა; ფასადის ყრუ ნაწილის მოპირკეთება გათვალისწინებულია სპეციალური ებონიტის პანელებით, რომლებიც დამონტაჟდება მეტალის კარკასზე.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა არაუგვიანეს 2005 წლის 31 დეკემბერი.

**3**. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 29 სექტემბრის 12 საათიდან 30 სექტემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ: cxr1

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

- ინფორმაციას სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ: cxr 2

| თანამდებობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება(წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება, წელი) |
|---|---|---|---|
| | | | |

ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ: cxr3

| N | მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი,იჯარით აღებული (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

5. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

*7.* სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 3 ოქტომბრის 12 საათიდან 4 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

8. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9. ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე-საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# ფოთში ახალ თეატრს აშენებენ

ქეთევან ჭაკობია
ფოთიდან

ფოთის ცენტრში მდგარ შენობას ზოგი დღემდე თეატრს უწოდებს, ზოგი - ტაძარს. ამ შენობაში ფარდა დიდი ხნის წინ დაუშვეს, გუმბათზე ჯვარი აღმართეს, შენობის წინ სამღვდელოება პარაკლისს იხდის, მრევლთან დაპირისპირებით, შიმშილობის აქციებითა და ხელისუფლებასთან ჭიდილით გადაღლილი დასი კი მოვლენებისადმი ინერტული გახდა. ფოთში უკვე გაიზარდა თაობა, რომელმაც არ იცის, რა არის პრემიერა, ანშლაგი და საერთოდ, თეატრალური სანახაობა. თუმცა საზოგადოების ინტერესს აქ დიდი ხანია არავინ ითვალისწინებს. თეატრის სტატუსი, დირექტორის დანიშვნის საკითხი და მშენებლობა გაცილებით პოპულარული თემებია.

ჯერ კიდევ 2003 წელს პრეზიდენტ შევარდნაძის განკარგულებით გადაწყდა, რომ შენობა ეკლესიისთვის დაებრუნებინათ, ხოლო თეატრისთვის ახალი ნაგებობა აეშენებინათ. მშენებლობისთვის თანხის გამოყოფა ფინანსთა სამინისტროს, ფოთის მთავრობასა და ნავსადგურის ხელმძღვანელობას დაევალა. "24 საათის" ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტრო ტრანსფერის კატეგორიული წინააღმდეგია. ნავსადგური უარს აცხადებს დახმარებაზე, 16-მილიონიანი ბიუჯეტით გათამამებულმა ქალაქის მთავრობამ კი მშენებლობა დაიწყო და პირველი სამუშაოებისთვის ადგილობრივი ხაზინიდან 500 ათასი ლარის მობილიზებაც შეძლო.

დღეს უკვე ჩნდება ეჭვი, რომ მომავალი წლიდან 6 მილიონი ლარით ("ცენტრის" მიერ წაღებული მოგების გადასახადის ადეკვატური თანხით) შემცირებულ ბიუჯეტში სათანადო თანხის მოძიება გართულდება. ადგილზე კი ფიქრობენ, რომ მთავარი ნაბიჯი გადადგმულია და შეიძლება პროცესი გაჭიანურდეს, მაგრამ მშენებლობა მაინც დასრულდება.

რუსთაველის რკალზე ტენდერში გამარჯვებულმა ფირმა "კუნძულმა" უკვე დაიწყო 5,5 ათასი კვადრატული მეტრი ტერიტორიის შემოღობვა. ამ სამშენებლო ორგანიზაციამ საკმაოდ ცნობილ კონკურენტებს ძირითადად ფინანსური ასპექტით აჯობა. მისი ხარჯთაღრიცხვა 1 888 269 ლარი - საპროექტო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ სავარაუდო ღირებულებაზე 260 ათასი ლარით ნაკლებია.

"კომიასიამ გაითვალისწინა სამშენებლო ფირმის გამოცდილება, ტექნიკური ბაზა და დამატებითი შეღავათიანი პირობები: სამუშაოთა ავანსად შესრულება და საბანკო ანგარიშსწორება", - ამბობს არქიტექტურისა და მშენებლობის საქალაქო სამსახურის უფროსი ილია მელქაძე.

პირველი ეტაპის სამუშაოები სავარაუდოდ ათ თვეს გაგრძელდება. ე.წ. ნულოვანი ციკლის, კარკასის აგებისა და გადახურვის შემდეგ ტენდერი მშენებლობაზე მოსაპირკეთებელ სამუშაოებსა და დანადგარების დამონტაჟებაზე გამოცხადდება.


ფოთის თეატრის მაკეტი

არქიტექტორ ვლადიმერ ხმალაძის საპროექტო წინადადებამ ორჯერ ჩატარებულ, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე კონკურსში, ორჯერვე გაიმარჯვა. რამდენიმე თვე სწორედ საპროექტო წინადადების კანონშესაბამისობის დარეგულირებას დასჭირდა. მაკეტს საზოგადოება არ აღუფრთოვანებია, თუმცა, როგორც ამბობენ, წარმოდგენილ ვარიანტებს შორის ეს საუკეთესო იყო.

თანამედროვე სტილითა და სტანდარტებით გადაწყვეტილი თეატრი 450 მაყურებელზეა გათვლილი. ინტერიერის მოსაპირკეთებლად მარმარილო და ძვირად ღირებული მასალები საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა, სხვა, უფრო იაფით შეიცვალოს. თუმცა მშენებლობის დამთავრებამდე ჯერ კიდევ სამი წელიწადია.

თეატრის სტატუსის საკითხიც გასარკვევია. ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის პარალელურად ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალური თეატრის შექმნის შესახებ, რომლის დაფინანსება 2005 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინა. ქალაქში დე-ფაქტო ორი თეატრია: სახელმწიფო - დაფინანსების, დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის გარეშე და მუნიციპალური, არარსებული და მხოლოდ იურიდიულად დაფიქსირებული. სწორედ ამიტომ მოქმედი თეატრის დასს ხელფასის მიღება პერიოდულად (და არა ყოველთვიურად) ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის მუნიციპალური თეატრის ხარჯებიდან უწევს, ანუ, ფაქტობრივად, ერთი თეატრის ბიუჯეტიდან მეორე ფინანსდება.

"ეს არ არის ახირება, არამედ ერთგვარი გამოსავალია, რადგან მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო თეატრის დაფინანსების უფლება არ გვქონდა, რაც კონტროლის პალატის აქტშიც იყო მითითებული", - ამბობს ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კობა ცხადაია.

სიტუაციის აბსურდულობა თავისთავად ცხადია. საკითხის საბოლოო გადაწყვეტა კულტურის სამინისტროს პრეროგატივაა. ჩვენი ინფორმაციით, სამინისტრომ არ გაიზიარა ქალაქის მთავრობის პოზიცია მუნიციპალური თეატრის არსებობის შესახებ და იგი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ფოთის სახელმწიფო თეატრად დარეგისტრირდა.

"შესაძლოა, დაფინანსების კუთხით გარკვეული პრობლემები შეიქმნას, მაგრამ სამინისტრო ფიქრობს მიაღწიოს გარკვეულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რაც თვითმმართველობას თანხის განკარგვას გაუადვილებს. ამის პრეცედენტი სკოლებთან დაკავშირებითაც არსებობს," - განმარტავს საკრებულოს წევრი სოსო გვაძაბია.

"გვაქვს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტის განკარგულებით გვექნება ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფო თეატრის დაფინანსების უფლება. რადგან ქალაქს არ შეუძლია ორი თეატრის შენახვა, დღის წესრიგში ალბათ მუნიციპალურის გაუქმების საკითხი დადგება", - აკონკრეტებს კობა ცხადაია.

ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი დირექტორის გარდაცვალების შემდეგ დღემდე მისი შემცვლელის, რეჟისორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის გარეშეა დარჩენილი. თეატრის სპეციფიკაში მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული პიროვნებების კანდიდატურები მიზეზთა გამო გამოირიცხა. ქალაქის მერმა კულტურის მინისტრთან ტურიზმის განყოფილების უფროსის წარდგინებას მოაწერა ხელი. სამინისტროს თავისი პოზიცია ჯერ არ დაუფიქსირებია, დასს არავინ არაფერს ეკითხება, ფოთში კი ახლობლობა-მეგობრობა-ნათესაობა და, თუნდაც, პარტიულობა პროფესიონალიზმსა და კანონზე უზენაესია.

# ვენეციური ფინალი

შაბათს ვენეციის კინოფესტივალი ისევე დაიხურა, როგორც დაიწყო - აზიურად. ღონისძიების მთავარი პრიზი - ოქროს ლომი ტაივანური წარმოშობის რეჟისორმა დაიმსახურა ფილმისთვის Brokeback Mountain, რომელშიც ჯეიკ გილენჰალი და ჰით ლეჯერი ასრულებენ მთავარ როლებს. უცნობია, კონკრეტულად რით დაიმსახურა ენგ ლის ნამუშევარმა ჟიურის მოწონება, ისე კი, ფაქტია, რომ ფილმს მართლაც უცნაური სიუჟეტი აქვს. რეჟისორი ორი ჰომოსექსუალი კოვბოის სიყვარულის შესახებ გვიამბობს. მათი საიდუმლო რომანი ოც წელს გრძელდება და მრავალ დრამატულ ეპიზოდს შეიცავს.

ლიმ ამ თემითა და მისი კარგი რეჟისორული გადაწყვეტით 18 სხვა საკონკურსო ფილმის დაჯაბნა მოახერხა. მას მარტო ევროპაში არ სცემენ პატივს. ენგ ლი "ოსკარის" ნომინანტიც გახლავთ ანიმაციური სურათისთვის "დახრილი ვეფხვი, დამალული დრაკონი". ამ ფილმმა მას მსოფლიო მასშტაბით მოუტანა ეკლექტური რეჟისორის რეპუტაცია. ევროპელებს კი ვეფხვებსა და დრაკონებზე მეტად მისი "გრძნობა და გონება" მოსწონთ - ფილმი, რომლის სცენარიც ლიმ ჯეინ ოსტინის რომანის მიხედვით დაწერა. გარდა ამისა, "ოქროს ლომის" მფლობელი რეჟისორი ერთი ჰოლივუდური ბლოკბასტერის "ჰალკის" ავტორიც გახლავთ - ამ ანიმაციურ პერსონაჟს, როგორც გახსოვთ, ნიკ ნოლთი ახმოვანებს.


ენგ ლი

დაჯაბნულ სურათებს შორის კი ფესტივალზე აკრედიტებული კრიტიკოსების ერთი ფავორიტი ფილმიც აღმოჩნდა - "ღამე მშვიდობისა და ბედნიერებას გისურვებთ". სურათი მაკარტის ეპოქის შესახებ ჯორჯ ქლუნიმ გადაიღო და მთავარი როლიც შეასრულა. მართალია, ქლუნის ღირსშესანიშნაობა ვენეციაში არც რეჟისურისა და არც არტისტიზმის დარგში არ აღიარეს, მაგრამ სამაგიეროდ ის საუკეთესო სცენარისთვის დაჯილდოვდა გრანტ ჰესლოვთან ერთად. ფილმის ერთ-ერთი ვარსკვლავი დევიდ სტრატჰერნი კი ფესტივალის საუკეთესო მსახიობი მამაკაცი გახდა. ის ქლუნის ფილმში ჟურნალისტ ედვარდ მოროუს როლს ასრულებს.

რაც შეეხება საუკეთესო მსახიობ ქალს, აქ უკვე იტალიურმა სისხლმა იმძლავრა და დანარჩენები ჯოვანა მეცოჯორნომ დაჩრდილა. მან იტალიურ სურათში La Bestia nel Cuore ერთ-ერთი დის როლი შეასრულა, რომელიც ბავშვობაში მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმებით იტანჯება. როგორც ჩანს, მეცოჯორნომ მართლაც ისე შესანიშნავად ითამაშა, რომ ჟიურის იზაბელ იუპერიც დაავიწყდა ("გაბრიელა") და გვინეტ პელტროუც ("ნივთმტკიცება"). სამაგიეროდ, ფრანგმა ქალბატონმა სპეციალური ვენეციური ლომი მოიპოვა - კინოში შეტანილი წვლილისთვის.

ჟიურის გრან-პრი ამერიკელ რეჟისორს აბელ ფერარას გადაეცა. მის ახალ ფილმში "მერი" ჟულიეტ ბინოში მსახიობის როლს ასრულებს, რომელსაც მარია მაგდალინელის მოჩვენება არ აძლევს გასაქანს მას შემდეგ, რაც ეკრანზე მის როლს განასახიერებს.

გაიცა ვერცხლის ლომიც საუკეთესო რეჟისორისთვის. ეს ტიტული ფრანგმა ფილიპ გარელმა მოიპოვა. მისი სურათი Les Amants Reguliers 1968 წლის მაისის აქციების შემდეგ პარიზის ბოჰემაში განვითარებულ სიყვარულის ისტორიას მოგვითხრობს. როგორც ჩანს, გარელის ფილმი ვიზუალური თვალსაზრისითაც შეუდარებელია, რადგან ვენეციაში ტექნიკური წვლილის შეტანისთვის ფილმის ოპერატორი ვილიამ ლუბჩანსკიც დააჯილდოვეს.

მარჩელო მასტროიანის სახელობის პრიზი ახალგაზრდა მსახიობს მენოთი სეზარს გადაეცა სურათისთვის Heading South.

პარასკევს, დასკვნით ცერემონიალამდე ცოტა ხნით ადრე, იაპონელი ჰაიაო მიიაზაკი ფესტივალის საგანგებო პრიზით დააჯილდოვეს - კინოში შეტანილი წვლილისთვის.

ამ შედეგებით დასრულდა მსოფლიოს უძველესი კინოფესტივალი. რაც მთავარია, 11-დღიანმა ღონისძიებამ სრულიად უსაფრთხოდ ჩაიარა. ტაივანელმა რეჟისორმა კი ბიოგრაფია ერთი უმნიშვნელოვანესი პრიზით გაამდიდრა.


## განცხადება

### საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს კომპიუტერული მოწყობილობების შესყიდვაზე

**თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა N4**

**შესყიდვის ობიექტია:**

| ლოტი | პუნქტი | საქონლის აღწერა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | 1.1 | კომპიუტერი<br>Case: Midi Tower, real 400W<br>CPU: PIV 640 LGA775 (3,2 Ghz; 2Mb cache FSB 800)<br>Memory: 1 Gb Dual Channel (2x512) DDR2-533 RAM<br>Video system: 256 MB Geforce 6600<br>Network: 1 Gbit Ethernet & Wi-Fi adapter<br>HDD: SATA 200 Gb, 7200 rpm (8 or 16 mb cache)<br>DVD+/-RW drive<br>3,5" floppy drive<br>17" LCD (8 msec) display<br>Cordless optical mouse with dock station (charger)<br>Keyboard<br>Speakers | 5 |
| | 1.2 | კომპიუტერი<br>Case: Midi Tower, real 350W<br>CPU: PIV LGA775 2,8 Ghz; 1Mb cache FSB 533)<br>Memory: 512 Mb Dual Channel (2x256) DDR2-533 RAM<br>Video system: integrated<br>Network: 100 Mbit Ethernet & Wi-Fi adapter<br>HDD: SATA 120 Gb, 7200 rpm (8 mb cache)<br>DVD-ROM/CD-RW combodrive<br>3,5" FDD<br>17" LCD (8 msec) display<br>Cordless optical mouse with dock station (charger)<br>Keyboard<br>Speakers | 55 |
| | 1.3. | უწყვეტი კვების წყარო 700 VA Back-ups | 60 |
| | 1.4. | დენის ფილტრი 5 Plugs | 60 |
| 2 | 2.1 | ნოუთბუქი<br>HP, DELL-ის მსგავსი, მონიტორი - 15" SXGA (1400x1050) Display; Pentium M 1.6GHz/400FSB/2mb L2 Cache; 512MB of RAM; 80GB/5400rpm/8MB Cache HDD; Wi-Fi; FaxModem; LAN Card; ATI Radeon 9700 64MB Vram Video Adapter; Fast Irda; DVD+/-RW; Bag | 1 |
| 3 | 3.1 | პრინტერი A4 14ppm 1200dpi 2mb 5000p/m USB 2.0 | 10 |
| | 3.2 | პრინტერი A4 21ppm 1200dpi 16mb 10,000p/m USB 2.0 & LPT | 5 |
| 4 | 4.1 | სკანერი A4 4800x4800dpi 48bit +35mm Slide adapter ADF | 2 |

საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდების სავალდებულო ვადაა - 2004 წლის 25 ოქტომბერი.

შესყიდვის ობიექტის ცხრილის 1.1; 2.1; 3.1; 3.2 და 4.1 პოზიციებით მოცემული საქონელი წარმოებული უნდა იყოს მსოფლიო ბაზარზე აღიარებული "BREND"-ის სავაჭრო ნიშნის მქონე კომპანიის მიერ.

დაინტერესებულმა პირებმა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2005 წლის 28 სექტემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი 0118, შ. ჩიტაძის 4, ოთახი 227, ტელ/ფაქსი: 28 46 27

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიულ პირთათვის:**

- ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

- ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ინფორმაციას იურიდიული პირის სტატუსის შესახებ. რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს.

- ლიცენზია (პირველ ლოტში) იმის შესახებ, რომ კომპანია არის მსოფლიო ბაზარზე აღიარებული "BREND"-ის სავაჭრო ნიშნის მქონე კომპანიის მიერ სერთიფიცირებული წარმომადგენელი როგორც გაყიდვებში ასევე სერვის მომსახურებაზე

**ფიზიკური პირებისათვის;**

ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ;

- ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

- ლიცენზია (პირველ ლოტში) იმის შესახებ, რომ კომპანია არის მსოფლიო ბაზარზე აღიარებული "BREND"-ის სავაჭრო ნიშნის მქონე კომპანიის მიერ სერთიფიცირებული წარმომადგენელი როგორც გაყიდვებში ასევე სერვის მომსახურებაზე

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე და პრეტენდენტებს გადაეცემათ 2005 წლის 30 სექტემბრის 10 საათიდან 18 საათამდე, 500 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ, მისამართზე: თბილისი, შ. ჩიტაძის 4, ოთახი 227.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, შემდეგ მისამართზე: თბილისი. შიო ჩიტაძის ქ. N 4, ტელ/ფაქსი: 28-46-27.

საქართველოს საგრეო საქმეთა სამინისტროს
სატენდერო კომისია
13 სექტემბერი 2005


## საქმე N2/95 გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა კოოპერატივ "ტყვიავი"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

28 ივლისი 2005 წელი

შესავალი ნაწილი

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ბონდო ვათიაშვილმა განვიხილე კოოპერატივ "ტყვიავის" გაკოტრების მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საკითხი

და ვ ა დ გ ი ნ ე:

სარეზოლუციო ნაწილი:

1) დაკმაყოფილდეს გორის საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნა კოოპერატივ "ტყვიავი"-ის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ.

2) გაიხსნას გაკოტრების საქმე კოოპერატივ "ტყვიავი"-ის მიმართ.

3) ვალაუვალ მოვალეს კოოპერატივ "ტყვიავი"ს აეკრძალოს თავისი ქონების მართვა და განკარგვა.

4) კოოპერატივ "ტყვიავი"-ის ქონების მართვა და განკარგვა დაევალოს კოოპერატივ "ტყვიავი"-ის გაკოტრების დროებით მმართველს.

5) კოოპერატივ "ტყვიავი"-ის გაკოტრების მმართველად დაინიშნოს იოსებ ოთარის ძე ჩიხლაძე, დაბადებული 1962 წლის 22 დეკემბერს, პროფესიით ეკონომისტი, მცხოვრები გორის რაიონის სოფელ ტყვიავში.

6) კოოპერატივ "ტყვიავი"-ის ყველა კრედიტორს ევალება გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განჩინების გამოქვეყნებიდან სამი კვირის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოს წარმოუდგინონ თავიანთი მოთხოვნები, შესაბამის ვალუტაში თანხის და ვალის საფუძვლის ჩვენებით, ამასთან აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ განაწილება მოხდება მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

7) ყველა იმ პირს რომელიც ვალაუვალი მოვალის ქონებას მიკუთვნებილ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, მოთხოვნის წაყენების ვადაში ამის შესახებ უნდა განაცხადოს გაკოტრების მმართველთან.

8) იმ პირს, რომელიც ფლობს ვალაუვალი მოვალის ე.ი. კოოპერატივ "ტყვიავი"- ის ქონებას მიკუთვნებულ ნივთს ან ვალდებულია ვალაუვალი მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, მან ნივთის დაბრუნება და ვალდებულების შესრულება უნდა განაცხადოს გაკოტრების მმართველთან

9) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს კოოპერატივ "ტყვიავი"-ის წინააღმდეგ ცალკეული კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული , მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები.

10) განჩინების გამოქვეყნების შემდეგ კოოპერატივ "ტყვიავი"-ის მიმართ ვალდებულების შესრულება ბათილია, თუ შესრულება არ შევა გაკოტრების მასაში.

11) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განჩინება გამოქვეყნდეს "გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

# კევინ სპეისი დირექტორის და მსახიობის ამპლუაში

ჰოლივუდის ვეტერანი რეჟისორი რობერტ ალტმანი მომავალ წელს ლონდონს ესტუმრება და ოლდ ვიკის სცენაზე თავის რეჟისორულ დებიუტს წარმოადგენს.


კევინ სპეისი

ალტმანის გამოჩენა ინგლისურ სცენაზე ოლდ ვიკის დირექტორის, ასევე ჰოლივუდელ კევინ სპეისის გადაწყვეტილებაა. 80 წლის რეჟისორი არტურ მილერის ბოლო პიესას Resurrection Blues-ს დადგამს. აღსანიშნავია, რომ მილერი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე პიესის გადაკეთებას ცდილობდა. ალტმანი კი სპექტაკლზე ნაწარმოების ორიგინალი ვერსიის მიხედვით იმუშავებს.

თვითონ დირექტორი სპეისიც დაკავებულია. ამჟამად ის "რიჩარდ მესამის" ოლდ ვიკისეულ ვერსიაზე მუშაობს, მომავალ შემოდგომაზე კი მსახიობის რანგში დაუბრუნდება სცენას და იუჯინ ო`ნილის პიესაში A Moon for the Misbegotten-ში ითამაშებს. მისი გეგმები ამით ამოიწურება. "არ მინდა გადავიწვა", - შიშობს ის და თეატრის ახალი სეზონის გახსნასთან დაკავშირებით მოწყობილ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს დაბეჯითებით გაუმეორა, რომ ამ ორ პროექტს შორის ახალს არაფერს გააკეთებს.

მისი თქმით, ალტმანისა და მილერის კომბინაცია თეატრისთვის რაღაც დიდი სიახლეა. "ეს მილერის ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი და საკმაოდ რთული პიესაა, რობერტიც ფორმაშია. დარწმუნებული ვარ, თავის საუკეთესო "თამაშს" გვაჩვენებს", - დასძენს სპეისი მოხუც რეჟისორზე, რომლის ანგარიშზეც მრავალი ცნობილი ფილმია, მათ შორის MASH და "გოსფორდ პარკი".

მოკლედ, კევინ სპეისი დირექტორის ამპლუას მშვენივრად ირგებს და, კრიტიკის მიუხედავად, აცხადებს, რომ ოლდ ვიკში მუშაობა ძალიან მოსწონს. "რიჩარდ მესამეზე" მუშაობა კი მისთვის ის ბრწყინვალე გამოცდილებაა, რომელიც მეხსიერებას უძვირფასეს მოგონებად შემორჩება. სპექტაკლს რეჟისორი ტრევორ ნანი დგამს. კევინ სპეისი კი რიჩარდის როლს ასრულებს, რისთვისაც მას ინგლისური აქცენტის დახვეწა უხდება. "ძალებს არ ვიშურებ იმისთვის, რომ ინგლისის მეფის როლი ზედმიწევნით დამაჯერებლად შევასრულო", - აცხადებს ის, თუმცა, რამდენიმე სიტყვის გამოთქმა ბრიტანული აქცენტით მაინც უჭირს.

"რიჩარდსა" და Resurrection Blues-ს შორის ოლდ ვიკს კიდევ ერთი საინტერესო პროექტი აქვს ჩაფიქრებული - სტრავინსკის The Soldier's Tale, რომელშიც ბრიტანელი მსახიობების გვერდით ერაყელი არტისტებიც გამოჩნდებიან.

რაც შეეხება მილერს, შეგახსენებთ, რომ ახლახან გარდაცვლილი დრამატურგის ეს პიესა პირველად 2002 წელს, ამერიკაში დაიდგა.

# პრეზიდენტი დი კაპრიო

**მარტინ სკორსეზე ახალ პროექტზე მუშაობს**

მას შემდეგ, რაც რობერტ დე ნირომ სოლიდურ ასაკში შეაბიჯა, მარტინ სკორსეზემ მის მიმართ ინტერესი აშკარად დაკარგა. ამჟამად რეჟისორის "მუზა" ახალგაზრდა და სიმპათიური ლეონარდო დი კაპრიოა, რომელთან ერთადაც მალე მეოთხე ფილმზე დაიწყებს მუშაობას. "ნიუ იორკის ბანდებისა" და "ავიატორის" შემდეგ კინოს ორი ვარსკვლავი მსოფლიო პოლიტიკის ვარსკვლავის შესახებ მოგვითხრობენ.


დი კაპრიო - რუზველტი

როგორც ჩანს, სკორსეზეს კვლავ აინტერესებს ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიები. ახალი ფილმი თეოდორ რუზველტის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. რუზველტის როლზე სკორსეზემ ლეონარდო დი კაპრიო დაამტკიცა.

ფილმს საფუძვლად დაედო ედმუნდ მორისის პოლიტიკურ-ბიოგრაფიული წიგნი "თეოდორ რუზველტის აღმაფრენა", რომლისთვისაც ავტორმა პულიტცერის პრემია მიიღო.

მარტინ სკორსეზეს გადაწყვეტილი აქვს, რუზველტის ახალგაზრდობის ეპიზოდებზე გაამახვილოს ყურადღება. მაყურებელი ნახავს, როგორ გარდაიქმნება ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ნიუ იორკის პოლიციის უფროსად. ფილმში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა რუზველტის მონაწილეობას ამერიკა-ესპანეთის ომში, რის შემდეგაც ნიუ იორკის შტატის გუბერნატორის არჩევნებზეც გაიმარჯვა.

სკორსეზე-დი კაპრიოს დუეტი კიდევ ერთ ფილმზე მუშაობს, რომლის გადაღებები თითქმის დასრულებულია და 2006 წელს გამოვა ეკრანზე. ფილმი პოლიციელის შესახებაა, რომელიც ჩუმად მაფიოზურ კლანთან თანამშრომლობს და მისი საქმიანობის გამოაშკარავებას ცდილობს.

# ასო „ზ„-ს ესთეტიკა

თამარ ბაბუაძე

რამდენიმე თვეა, ცნობილი იტალიელი ბიზნესმენის ერმენეჯილდო ზენიას მოდის სახლი განუწყვეტლივ ითხოვს მამაკაცების ყურადღებას. ეს კომპანიაში მიმდინარე ახალი ამბების გამო ხდება. ამბები, ძირითადად, არომატიზებულია და ორი ნაწილისგან შედგება - ზაფხულისა და შემოდგომისგან. ზაფხულში იყო "ესენცა დი ზენია" - ღია კრემისფერში გადაწყვეტილი გრილი სუნამო დახვეწილი ცხოვრების ხელოვნების შესახებ. შემოდგომით კი გამოჩნდა "ზ" (Z Zegna) - კამკამა წყლისფერი გრილი სუნამო სპორტული ცხოვრებისა და ცდუნების ძალის შესახებ.

მამაკაცებს ბევრი არ უფიქრიათ. ზენიას, ტრადიციისამებრ, ბრმად ენდნენ და გაუმართლათ კიდეც. "ესენცა დი ზენია" მართლაც ზაფხულის სურნელი გამოდგა და ახლად გამოჩენილ ასო "ზ"-საც ნამდვილი ზენიასებური ესთეტიკა აღმოაჩნდა.

როცა ზენიას პიჯაკებზე, შარვლებსა და აქსესუარებზე მიდგება საქმე, თბილისელებს თბილისიდან კომპეტენტური აზრის გამოთქმა უჭირთ ხოლმე. მიზეზი მარტივია - ზენია ის ექსკლუზიური ბრენდია, რომელსაც ჩვენი ქალაქი ბოლომდე არ დაუპყრია და რომელსაც მხოლოდ ექსკლუზიური უმცირესობა იცნობს სრული მასშტაბით. თუმცა, ზენიას ქართული ექსპანსია მაინც მოხერხდა. "ისი პარის" ბოლო პრეზენტაცია სწორედ ამის დასტური გახლდათ. ზემოხსენებული, კამკამა წყლისფერი გრილი სურნელი, რომელიც სპორტული ცხოვრების და ცდუნების ძალის შესახებ მოგვითხრობს, თბილისურ დახლებზეც გამოჩნდა და ასო "ზ"-ს ესთეტიკაზე ქართველი მამაკაცებიც ჩააფიქრა.

ამაზე დიდი მინიმალიზმი ალბათ აღარ არსებობს: ერთ ზიგზაგისებურ ლექსიკურ ნიშანში სუნამოს ავტორმა მთელი კონცეფცია მოაქცია - სექსუალური ენერგიის, სიგრილის, თავისუფლების, ხელოვნების და დიდი ქალაქების სიყვარულის შესახებ. ეს ყველაფერი Z Zegna-ს რჩეული მამაკაცის სამყაროს შემადგენელი ნაწილია. სწორხაზოვანი ბოთლი ცისფერი სითხით კი მისი ინტერესის კიდევ ერთ სფეროზე მიუთითებს - ძვირფასი ავტომობილებისა და სუპერთანამედროვე ტექნიკის სამყაროზე. გრილ და დახვეწილ სურნელთან შესახვედრად კაცს ფლაკონი ამზადებს - ლითონი და მინა, ვერცხლისფერი თავსახური, რეზინის სარტყელი და წინა მხარეს ამოტვიფრული კიდევ ერთი ასო-სიმბოლო V, რომელიც რამდენიმე სიტყვით იშიფრება: სიჩქარესაც ნიშნავს, V-ს მსგავსად ამოჭრილ ყელსაც სპორტულ სვიტერზე და მოგზაურობასაც. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, Z Zegna კიდევ უფრო მამაკაცური სურნელია, ვიდრე ბიჭი მის სარეკლამო აბრაზე. თუმცა, კონცეფციას ეს ცისფერთვალება და ტკბილი გარეგნობის ყმაწვილიც კარგად გადმოსცემს - მას გზებზე ხეტიალისგან გარუჯვია კანი, მოტოციკლზე ზის და სიჩქარის ასაკრეფად ემზადება, თმა მზესა და ზღვის ჰაერზე გახუნებია, თვალებიდან კი ისეთ ცისფერს აფრქვევს, რა ფერიც ზენიას ახალ სუნამოს დაჰკრავს.

როგორც მოგახსენეთ, ასო "ზ"-ს ესთეტიკასთან ზიარება თბილისშიც შეიძლება. ისე კი ერმენეჯილდო ზენია თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სუნამოების და ტანსაცმლის კოლექციის შესაძენად კლიენტებს ლას ვეგასში ეპატიჟება. ივლისში სასტუმრო "სეზარს პალასში" ზენიას ახალი ბუტიკი გაიხსნა. 3700 კვ.ფუტის ფართობზე გადაჭიმული ბუტიკი ყველაფერს იტევს - სუნამოებსაც, პერანგებსაც, კოსტიუმებსაც, ქამრებსაც, ფეხსაცმლებსაც, ჩანთებსაც და ტყავის ნაწარმსაც.

ის მამაკაცები, რომლებიც თავიდან ფეხებამდე ზენიას კოლექციების მიხედვით იმოსებიან, თან კლასიკური მუსიკაც უყვართ და თან მსოფლიო მშვიდობაზეც შესტკივათ გული, 2 სექტემბერს პეკინშიც ჩავიდნენ. იქ ზენიას ფონდის მიერ დაფინანსებულმა მშვიდობის მსოფლიო ორკესტრმა გამართა დასკვნითი კონცერტი, რომელსაც ვალერი გერგიევი უძღვებოდა. ზენიაში ძალიან ამაყობენ იმით, რომ გერგიევი მათი მოდის სახლის დიდი მეგობარია; და ამაყობენ იმითაც, რომ ზენიას ახალ კოლექციებს ახალგაზრდა მუსიკოსი პიტერ ჩინკოტი და ახალგაზრდა მსახიობი დიეგო ლუნა უწევენ რეკლამას. ასეთი დახვეწილია ერთი ზიგზაგისებური ასოს ესთეტიკა.




**საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს**

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის**

წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით.

კინოცენტრიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 400 000 ლარს.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს პროექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2005 წლის 26 აპრილს გამოცხადებულ კონკურსში და ვერ დააგროვეს 45 ქულაზე მეტი.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 24 ოქტომბერი, 17:00 სთ.

ყოველ სამშაბათს, 12 საათზე ჩატარდება კონსულტაცია დაინტერესებულ პირთათვის.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4,
ტელ/ფაქსი: 984201 E-mail: office@filmcenter.ge
www.filmcenter.ge

**გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის (მსპ) ოფისი თანამშრომლობისათვის იწვევს სატრანსპორტო კომპანიებს მონაწილეობა მიიღონ მსპ-ს ტვირთების გადაზიდვაში საქართველოს მასშტაბით.**

**გთხოვთ, ა.წ. 15 სექტემბრამდე მოგვაწოდოთ წერილობითი ინფორმაცია კომპანიის/ფირმის პროფილის შესახებ შემდეგ მისამართზე:**

**თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 39ა, IX სართული.**
**მსპ საქართველოს ოფისის დირექტორს, ქ-ნ ინგე ბროიერს**




შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გშურია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი უ ფ ა ს ო ა

